№ 182

ᲡᲐᲥ. „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲐ № 48.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘ.

ᲡᲢᲔᲜᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

49 ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

ᲞᲐᲠᲘᲡᲙᲔᲕᲘ, ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ 18. 1918 Წ. ᲗᲕᲘᲚᲘᲡᲘ. ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔ.

ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲡ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი **ᲔᲚᲕᲘᲗᲘᲛᲔ ᲗᲝᲤᲘᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.**

მდივნობს საქართველოს პარლამენტის მდივანი **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲝᲜᲘᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.**

პრეზიდიუმში არიან: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი ელვ. ბარამაშვილი და მდივნის ამხანაგი ილია ᲛᲐᲛᲐᲫᲘᲐ.

ᲙᲠᲔᲑᲐ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ 11 საათსა და 5 წუთზე.

თავმჯდომარე. პარლამენტის სხდომა გახსნილი გახლავთ.

მდივანი მოგახსენებთ დღიური წესრიგის და განცხადებას.

ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲤᲠᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

მდივანი (კითხულობს): ამით ვეუწყებთ საქართველოს პარლამენტის პრეზიდიუმს, რომ საქართველოს პარლამენტში დაარსდა სომეხთა სახალხო პარტიის ფრაქცია, რომლის თავჯდომარედ არჩეულია **ᲐᲠᲨᲐᲙ ᲑᲐᲠᲮᲣᲓᲐᲠᲘᲐᲜᲘ.** ხოლო, მდივნად **ᲞᲐᲕᲚᲔ ᲓᲝᲚᲣᲮᲐᲜᲘᲐᲜᲘ.**

საქართველოს პარლამენტის სომეხთა სახალხო პარტიის თავჯდომარე **ᲐᲠᲨᲐᲙ ᲑᲐᲠᲮᲣᲓᲐᲠᲘᲐᲜᲘ.**

მდივანი **ᲞᲐᲕᲚᲔ ᲓᲝᲚᲣᲮᲐᲜᲘᲐᲜᲘ.**

ᲪᲜᲝᲑᲐ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲪᲔᲛᲘ ᲙᲐᲜᲝᲜ-ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

1. **ᲙᲐᲜᲝᲜ-ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ** სპირტის გამოდის წესდებისა—ღვინისა, ჭაჭისა, თხლისა და სხვა ბიდეფლობისაგან.

გადაეცეს საფინანსო კომისიას

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ

1. საბოლოო ტექსტი სახალხო სკოლების მასწავლებლების ნაციონალურ მდგომარეობის გაუჯობესების კანონისა.

მომხსენებელია პარლამენტის წევრი. **ᲨᲐᲚᲕᲐ ᲐᲛᲘᲠᲔᲯᲘᲑᲘ**

2 საბოლოო ტექსტი ტფილისის უმაღლეს კურსებისთვისსახელმწიფოს ხაზინიდან 5 000 მან. მიცემის კანონისა.

მოხსენებელია პარლამენტის წევრი **ᲨᲐᲚᲕᲐ ᲐᲛᲘᲠᲔᲯᲘᲑᲘ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. კანონ-პროექტი ფოსტა ტელეგრაფის და ტელეფონის ქსელის გამოყენებისა.

მომხსენებელია პარლამენტის წევრი **პეტრე ქავთარაძე.**

4. კანონ პროექტი ახალ-წიგნთ საცავ სამკითხველოების გახსნის შესახებ.

მომხსენებელია პარლამენტის წევრი **ლეო ნათაძე.**

5. კანონ პროექტი ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრის ცენტრალურ შტატებისა.

მომხსენებელია პარლამენტის წევრი **იასონ ლორთქიფანიძე.**

6. კანონ-პროექტი საბაჟო დაწესებულებებში საკანცელარიო გადასახადისა.

მომხსენებელია პარლამენტის წევრი **დავით შარაშიძე.**

7. კანონ-პროექტი შავი ქვის გადასახადის ტარიფის გადიდებისა

მომხსენებელია პარლამენტის წევრი **იასონ ლორთქიფანიძე.**

8. კანონ-პროექტი შავი ქვის სანაპირო რკინის გზის დამთავრებისა.

მომხსენებელია პარლამენტის წევრი **იოსებ გობეჩია.**

9 კანონპროექტი მოკლე ვადიანი სესხის შესახებ.

მომხსენებელია პარლამენტის წევრი იასონ ლორთქიფანიძე.

10. დამოუკიდებელ ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციის მთავრობისა და სახელმწიფო კონტროლიორისადმი შეკითხვა 30 მილ. სალიკვიდაციო ფონდის შესახებ.

თავმჯდომარე. ამტკიცებთ დღიურ წესრიგს, პატონებო თუ არა, წესრიგის წინააღმდეგი არავინ არ არის, დღიური წესრიგი დამტკიცებული გახლავთ. პარლამენტის წევრი შალვა ამირეჯიბი.

საბოლოო ტექსტი თბილისის უმაღლეს კურსებისათვის სახელმწიფოს ხაზინიდან 50000 მან. მიცემის კანონისა.

შალვა ამირეჯიბი. (კითხულობს) საბოლოო ტექსტი ტფილისის უმაღლეს კურსებისათვის სახელმწიფოს ხაზინიდან 50000 მ. მიცემის კანონისა.

მუხლი პირველი. მიეცეს ტფილისის ქალთა უმაღლეს კურსებს ორმოცდა ათი ათასი მანეთი (50.000 მან.) სახელმწიფო ხაზინის თვისუფალ თანხიდან 1917-1918 სმოსწავლო წლის ხარჯების გასასწორებლათ.

აქ შეცვალეთ სიტყვა სამოსწავლო, რომელიც ძველ ტექსტში იყო სიტყვით სასწავლო, სიტყვა თვისუფალი შეცვალეთ სიტყვით თვისუფალს.

მთელი მუხლი ასეა მიღებული.

1. მიეცეს ტფილისის ქალთა უმაღლეს კურსებს ორმოცდა ათი ათასი მან. (50,000 მან.) სახელმწიფო ხაზინის თვისუფალი თანხიდან 1917-1918 სასწავლო წლის ხარჯების გასასწორებლად.

მეორე მუხლი (კითხულობს)

2. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მისი მიღებისა ეროვნულ საბჭოს მიერ.

ჩვენ აქ სიტყვები ეროვნულ საბჭოს მიერ შეცვალეთ სიტყვებით: **პარლამენტის მიერ.** მუხლი ასეა მიღებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2 ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მისი მიღებისა პარლამენტის მიერ.

საბოლო ტექსტი სახალხო სკოლების მასწავლებელთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესების კანონისა.

შალვა ამირეჯიბი.

პირველი მუხლი. (კითხულობს):

სახალხო სკოლის მასწავლებელს დაენიშნოს თვიურ ჯამაგირად ოთხასი მანეთი.

უცვლელად გახლავთ მიღებული.

მეორე მუხლი. (კითხულობს):

ამ კანონით გამოწვეული ხარჯის დასაფარავად ამა 1918 წლის სექტემბრის 1-დან წლის დამდეგამდე გაეხსნას განათლების სამინისტროს სახელმწიფო ბანკიდან კრედიტი ორი მილ. სამოცდა თერთმეტი ათას შვიდას სამოცი მანეთისა (2.071760 მ.).

ეს მუხლიც უცვლელად არის მიღებული.

კანონ-პროექტი ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის ქსელის გამრავლებისა.

თავმჯდომარე. შემდეგი კანონ-პროექტის მომხსენებელი გახლავთ პარლამენტის წევრი პეტრე ქავთარაძე.

პეტრე ქავთარაძე (ლიოონ.) ბატონებო! შინაგან საქმეთა მინისტრის წინადადება მთავრობისაგან მოწონებული გახლავთ. განზრახულია მჭიდროთ დასახლებულ პუნქტების შეეერთება ფოსტა-ტელეგრაფის საშუალებით სამაზრო და საგუბერნიო ცენტრებთან. თანახმად ამ კანონ-პროექტისა ფოსტა-ტელეგრაფისა და ტელეფონისათვის საჭირო ბოძები გაღებული უნდა იქნეს ადგილობრივ მცხოვრებლების მიერ უფასოთ, აგრეთვე მუშაობა ფოსტა-ტელეგრაფისა და ტელეფონის ქსელის მოწყობისათვის უნდა დაეგალოს ადგილობრივ მცხოვრებლებს, რასაკვირველია უფასოდ. ამ კანონის თანახმათ გაღებული თანხა გადაეცეს ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის განკარგულებაში. აგრეთვე სხვა თანხა, რომელიც მუშაობის წარმოებისთვის ამ კანონ-პროექტით განზრახულია, უნდა გადაეცეს ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის განკარგულებაში. ეს მუშაობა განზრახულია შესრულდეს, განსაკუთრებულ ფოსტა-ტელეგრაფის გუნდის საშუალებით, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ეს გუნდი დაიშალა, უწყებას განზრახული აქვს, რომ იმავე ხარჯით მოწვეულ იქნეს დაქირავებულ მუშების ჯგუფები ამ მუშაობის საწარმოებლად საჭირო მასალა და იარაღი განზრახულია აღებული იქნეს ოლქის საწყობიდან. მავთულების გაბმის დროს გამოყენებული იქნება არსებული ტელეფონის ბოძები. განხორციელება კანონ-პროექტისა უკვე დაწყებულია ოზურგეთის, ქუთაისის, სოხუმის თბილისის და დუშეთის, მაზრებში და აქ დახარჯულია ფული. თვით კანონ-პროექტი ასეთია:

კანონპროექტი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის ქსელების გავრცელების შ. **სახებ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დაარსებულ იქნას საქართველოს ყოველ სოფლის საზოგადოებაში ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის განყოფილება.

2. დაევალოს სოფლის საზოგადოებებს უსასყიდლოდ დაამზადონ ადგილობრივად საჭირო ბოძები და ბიჯგები ალაგზე მიტანით და ორმოების გათხრით; აგრეთვე უსასყიდლოთ მისცენ ფოსტა-ტელეგრაფის საჭიროებისათვის ოთხ თვალიანი სახლი, გათბობა განათებით და დარაჯით სამი წლის ვადით; ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის ბინის მოსაწყობად და ავეჯეულობის შესაძენად ერთდროულად გადაიხადონ 2500 მან., ხოლო ტელეფონით სარგებლობისათვის 500 მან. ყოველ წლიურად.

3. დაევალოს სასოფლო მილიციას ფოსტის გადატან-გადმოტანა.

4. გადადებულ იქნას სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში ამ საქმის მოსაწყობად სამი წლის ვადით 178,6240 მან.

5. ამ კრედიტის საზღვრებში მიეცეს შინაგან საქმეთა მინისტრს უფლება ეძლევნა შეიძინოს შესაფერი მასალა 936240 მან. ღირებული ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის საწყობიდან თანახმად წარმოდგენილი ნუსხისა.

6. გადადებულ იქნას სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში 150000 მან. ამ კანონით ახლად დაარსებულ საფოსტო განყოფილებათა შტატების შესანახად 1918 წლის დამლევამდე. აქ დართული აქვს კანონ პროექტს სამუშაოს აღწერა და თუ განებავთ ამ ნუსხას და სამუშაოს აღწერას წაგიკითხავთ.

თავმჯდომარე. სურს პარლამენტს წაეკითხოს თუ არა? გინც საჭიროდ რაცხს, რომ ნუსხა წაკითხული იქნეს, გთხოვთ ასწოთ ხელი. მაშასადამე ნუსხა წაკითხული არ იქნება. ვის სურს სიტყვა კანონ-პროექტის შესახებ?

ივანე გობეჩია (სოც. რევ.) ფოსტა ტელეგრაფის და ტელეფონის ქსელების გავრცელება, რასაკვირველია საჭირო არის. ამის წინააღმდეგი ერთი მოქალაქე არ იქნება. ამ მხრივ მთელ კანონ-პროექტს თუ შევეგი ხებით-ზოგიერთ მუხლების უცვლელად მიღება შეიძლება, მაგალითად პირველი მუხლისა. (კითხულობს). . . . . ამ მუხლს, რასაკვირველია, ყველა დაუჭერს მხარს, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ჩვენ მეორე მუხლის შესახებ, საჭიროება ფოსტა-ტელეგრაფისა და ტელეფონისა ნათელი არის, ითქოს რომ ეს იქნება საშვალება სოფლის კულტურისა და მეურნეობის აყვავებისა და განვითარებისა, თუმცა შესაძლებელია ბევრი სხვა მოთხოვნილება ჰქონდეს ხალხს. ბევრი მოთხოვნილება იყოს დაუყმაყოფილებელი, მაგრამ ჩვენ ერთი კალმის მოსმით ვერ შევძლებთ ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და თუ ჩვენ ამ კანონ-პროექტს სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, შევეხებით, თუკი ვაღიარებთ, რომ მხოლოდ სახელმწიფოებრივი ინტერესი მოითხოვს ფოსტა-ტელეგრაფი და ტელეფონი გავრცელდეს და კარგად მოეწყოს მაშინ ლოღიკურად ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მთელი გადასახადი, მთელი ხარჯი, უნდა გაიღოს თვით სახელმწიფომ, ყოველმა მოქალაქემ. ეს ხარჯი არ უნდა დააწვეს კერძოთ რომელიმე კატეგორიას. აი, სწორედ ეს უნდა აღინიშნოთ, ამ კანონ-პროექტში, რომ საერთო სახელმწიფოებრივ ხარჯთან რთად, ამ ხარჯს იღეს სპეციალურად სხვა და სხვა სოფლის საზოგადოებანიც. შესაძლებელია ბოძები, ბურჯები რამდენიმე ათასი მანეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჯდეს ეს მაინც და მაინც დიდ თანხად არ მიგვაჩნია, მაგრამ უნდა მივიღოთ მხედველობაში რომ ყველა ეს ძვირად დაუჯდება სოფლის საზოგადოებას და თუ ეს ასეა, მაშინ უნდა ვიდიარროთ, რომ ჩვენ ზევიდან გვსურს დავბეგროდ სოფლის საზოგადოება. ამ რიგად, თუ სახელმწიფოს ინტერესი მოითხოვს ამ კანონ-პროექტის გატარებას მაშინ ყოველმა მოქალაქემ თანაბრივ უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ ხარჯის გადებაში.

შეიძლება მარტო ისე დავსვათ საკითხი, რომ ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის დაარსებას მოითხოვს მხოლოდ სოფლის ინტერესი, სოფლის საზოგადოების მცხოვრებლების ინტერესი, მაშინ ხომ ეს მათი კერძო საქმე იქნება. და თუ ეს მათი კერძო საქმეა, მათ ექნებათ თავისი ორგანოები ყოველ მაზრაში. ეხლა თითქმის ყველგან არსებობს სამაზრო ერობები, ამის ინიციატივა ეკუთვნით მათ. მაგრამ, ჩემის აზრით, ჩვენ უნდა შეეხეოდთ სხვანაირად ამ საკითხს, ისე როგორც ადგილობრივი ინტერესი და აგრეთვე სახელმწიფოებრივი ინტერესი მოითხოვს, რომ ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება და ტელეგრაფი დაარსებული იყოს. მაგრამ იმის გადაწყვეტა, რომ რაიმე ხარჯი უნდა გაიღოს ამ საქმისთვის სოფლის საზოგადოებამ, ჩემის აზრით ეს უნდა გადაეცეს სოფლის საზოგადოებას და მათ ეხლანდელ წარმომადგენელს სამაზრო ერობებს. შესაძლებელია სამაზრო ერობებმა მიიღოს მხედველობაში ის, რომ დიდ ფინანსიურ კრიზისს განიცდის სახელმწიფო. შესაძლებელია რომ ეს ხარჯი თითონ აიღონ. მე ვფიქრობ რომ ეს იქნება სწორი გზა. სწორედ შინაგან-საქმეთა სამინისტრომ უნდა შეკრიბოს ცნობები ადგილობრივ, თუ რამდენ ხარჯს გაიღებს ისა თუ ის სამაზრო ერობა, ესა თუ ის სოფლის საზოგადოება, და წარმოადგინოს შესაფერი ხარჯთ აღრიცხვა. მაშინ საკმაებით დაცული იქნება ის პრინციპი, რომელსაც ჩვენ ყველანი ვიდიარებთ: მეტი უფლება ადგილობრივ თვითმართველობას.

ამიტომ ჩვენ კანონ-პროექტის წინაადმდეგ ხმას ვერ მივცემთ, ჩვენ პირველ მუხლს ხელს აუწევთ. მაგრამ რაც შეეხება მეორე მუხლს, ესე იგი ზევიდან დაბეგვრას, წინდა წინ, ხალხის დაუკითხავად ჩვენ ამისი წინაადმდეგი ვიქნებით.

ამისათვის საერთოდ თავს შევიკავებთ და პირველ მუხლს კი მხარს დაუჭერთ. ჩვენი წინადადება არის კანონ-პროექტი დაუბრუნდეს შინაგან საქმეთა მინისტრს ხასალის შესაგროვებლად.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს დადიანს.

სამსონ დადიანი. (ს. დ.) ბატონებო, თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ეს ერთი უმთავრესი პრაქტიკული საქმიანი ნაბიჯია, რომელიც გადადგა ჩვენმა მთავრობამ. სხვათა შორის ეს გახლავთ ის პრაქტიკული საკითხი, რომელიც დიდ მნიშვნელოვანი, და სასარგებლოა ჩვენი ხალხისთვის; იმდენად სასარგებლოა, რომ თვით ხალხი, მე მგონია უკვე დარწმუნებულია ამაში. მოგეხსენებათ, ხალხი, ისე ვსთქვათ, ზედ გავლენით იტყვის — ეს ხარჯი გაგიღოთ, და ის ზომები მიგიღოთ, რომელიც აქამდის არსებობდა. ჩვენთვის ამ პირობებში სრულიად შეუფერებელი იქნებოდა იმის მტკიცება, თუ რა მნიშვნელობა აქვს ფოსტა-ტელეგრაფს, ტელეფონს და სხვა და სხვა დაწესებულებებს ხალხისთვის და სოფლისთვის. ამის მტკიცება რომ დაგვეწყო — ეს ღია კარებში შეჭრა იქნებოდა. მხოლოდ არ შემიძლიან არ გაუწყო ინგარინში იმ ფაქტებადგენა, რომელიც აქ მოვისმინეთ, რომ უსაზარბოლოდ მიიჩნიეს, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთასი მანეთი წლიურად დადებული იქნეს გადასახადი ამ საზოგადოებაზე. ამბობენ, რომ ეს ხარჯი საკირო—რომ უფლებელად ხაზინამ გადიხადოსო. ბატონებო, თუ ჩვენ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, როდესაც წინათ რუსეთში უმთავრესად ხალხი ამბობდა,—ყველაფერი ხაზინიდან, ყველიფერი ხაზინას მოვთხოვოთო და ხაზინა წარმოდგენილი ჰქონდათ რაღაც განყენებულ არსებად, რომლისაგანაც ყველაფერი უნდა გამოვლიჯა და წაერთმია. და არსებობდა მართლა ასეთი შეხედულება, რომ ერთი მხრივ ეს მართალი იყო. ეს იყო ბიუროკრატიული დაწესებულება რომელიც ხალხს სწუწნიდა და უკან არაფერს უბრუნებდა. ასეთი შეხედულება ასე თუ ისე გასაგებია. დღესდღეობით მე ვერ წარმომიდგენია ყოველ შემთხვევაში ასეთი გაყოფა ხაზინისა და ხალხისა. დღეს ჩვენი მთავრობა, ჩვენი რესპუბლიკის ხაზინა, ეს არის ჩვენი ხალხის ხაზინა, ამის გაყოფა და დაშორება შეუძლებელი იქნება. შემდეგ პრაქტიკულად რომ ვინაგარეშოთ, რას ნიშნავს ხუთასი მანეთი ერთ საზოგადოებისთვის? თქვენ მოგეხსენებათ, რომ საზოგადოება რამოდენიმე სოფლიდან შესდგება, რომ დაუნაწილოთ წლიურად ეს ხუთასი მანეთი ამ საზოგადოებას, თითო ოჯახს შეხედება წლიურად შაური ან ორი შაური. წარმოიდგინეთ რომ ყველგან, სადაც ქსელი არის, მაგალითად ფინლიანდიაში, მეთევზეებს აქვთ ქსელი, სადაც თევზს იჭერენ ზღვის პირას, ორ კაპეიკის გადასახადში სარგებლობენ ტელეფონით. ეს თითქმის არაფერს შეადგენს. ბოლოს და ბოლოს კანონ-პროექტში აღნიშნული გადასახადი ისეთი მცირეა, რომ ხალხი სიამოვნებით იკისრებს. და კიდევაც მოითხოვს იმას, რომ ეს გადასახადი უფრო მეტი იყოს, ოღონდ დაკმაყოფილებული იქნეს მათი კულტურული მოთხოვნილება და საუბალება მიეცეს კულტურულ ცხოვრებას დაეწაფოს და დაუქიროს კავშირი ამით კულტურულ ცენტრთან. ამის გაზვიადება, რომ რაღაც დავზარკეთ, დავბეგრეთ ხალხია, ყოვლად შეუძლებელია. ბოლოს და ბოლოს ერთი შენიშვნა აღიარებულია. ის, რომ ერობები როცა ფეხს მოიკიდებენ და გამაგრდებიან, ყველა ეს დაწესებულებები ერობის ხარჯზე გადავა და ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის ქსელიც მათ ხელში იქნება. ეხლა პირიქით ხაზინა რას შვრება? ხაზინა მთ შველის ეხლა, ხარჯს სწევს და შემდეგ ის შემოსავალი, რომელიც იქნება მომავალში ეს სულ გადავა ერობის და თვითმართველობის ხელში. მეტი უფლება თვითმართველობას, მეტი თავის-უფლება თვითმართველობას სწორედ მაშინ ექნება, როდესაც გადავცემთ თვითმართველობის გამგეობაში ამ დაწესებულებებს. ამიტომ ვერ ვხედავთ მოსაზრებას, საჭიროებას ვერ ვხედავთ, რომ კანონ-პროექტი დაბრუნებული იქნეს და ამით საქმე გაჭიანურდეს. ამიტომ ჩვენი ფრაქციის სახელით ვაცხადებ, რომ ეს საკითხი დღესვე დამტკიცებული უნდა იყოს.

შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი.

მოქალაქენო, ხალხის წარმომადგენელნო! თქვენ წინაშე მეტად საყურადღებო საკითხი არის წამოყენებული.

მე მგონია, რომ პარლამენტს აქვს სრული უფლება, როცა რაიმე კანონ-პროექტის წინააღმდეგ გამოდიან, მოითხოვოს საბუთი,—რა უფლებით, რა ძალით ესა თუ ის ფრაქცია ილაშქრებს ამ პროექტის წი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაალმდეგ, რომელსაც აქვს მიზნად ხალხის კულტურული მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

მე მესმის, როცა პარლამენტში სხვა და სხვა პარტიები გამოდიან მილიტარისტულ და სხვა ხარჯების წინააღმდეგ, ეს გასაგებია, სხვა და სხვა მოსაზრებებით. მაგრამ, ყოველად გაუგებარია, როცა გამოდიან ისეთ კანონ-პროექტის წინააღმდეგ, რომელსაც აქვს მხოლოდ გულტურულ მოთხოვნილების დაკმაყოფილების ხასიათი.

აქ ამბობენ: ჩვენ მომხრე ვართ, საქართველოში ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის ქსელის გავრცელებისა, მაგრამ, წინააღმდეგნი ვართ, რომ ამ სახით დარჩეს ეს პირველი მუხლიო. ე. ი. პარლამენტი წინააღმდეგი არის, რომ ეს კანონ-პროექტი, ამ ჟამად, ფაქტიურად განხორციელდეს, მე ვეკითხები პირდაპირ სოციალ-რევოლუციონერთა ფრაქციას—თუ მართლაც თქვენ წინააღმდეგნი არ ბრძანდებით ამ კანონ-პროექტისა, გაქვთ თუ არა რაიმე საშვალება, აქვს თუ არა ჩვენს სახელმწიფოს საშვალება, რომ ამ ჟამად, გაიღოს ის ხარჯი, რომელსაც მოითხოვს ეს კანონ-პროექტი? აქ ამბობთ: როცა ასეთ ბეგარას დააკისრებთ ჩვენ ხალხს, თქვენ უნდა იცოდეთ, წინასწარ, რას ფიქრობს ეს ხალხიო. სემწუხაროდ, როგორც სჩანს, ეს ფრაქცია სრულიად არ არს გაცნობილი ამ საქმეს. ეს კანონ-პროექტი ჩვენ არ შეგვიმუშავებია ერთ-ორ-კვირის განმავლობაში; ეს კან.-პროექტი თავის თავად მუშავდებოდა რამდენიმე თვეს, რამდენიმე ადგილას, განსაკუთრებით ფრონტზე. ეს იყო აპრილში. ბევრ ადგილას, უკვე სწარმოდდა ახალი ფოსტა—ტელეგრაფის და. განსაკუთრებით ტელეფონის განყოფილებანი. ტელეგრაფი და ტელეფონის დაწესებულება დაარსდა, და სწარმოდდა თანახმად ადგილობრივ ხალხის სურვილისა. ამისთანა სამხედრო საქიროება მოითხოვდა, რომ ჩვენი ერთი ნაწილი ჯარისა, მეორესთან შეგვეკავშირებინა ტელეგრაფის და ტელეფონის საშუალებით. მის შემდეგ, რაც ფრონტი მოიხსნა, თვით სოფლის საზოგადოებებმა ჩვენ მოგვმართეს შემდეგ, კითხვით. შეუძლიან თუ არა მთავრობას, თანახმად სახელმწიფოში არსებულ წესებისა, ეს დროებითი დაწესებულებები, მუდმივ დაწესებულებით გადააქციოს, და მოგვცეს საშუალება ამ კულტურული დაწესებულებით ვისარგებლოთო?

როგორც მოგეხსენებათ წინად, ფოსტა—ტელეგრაფის განყოფილების დაარსებისთვის საჭირო იყო 300 მ. ჩვეულებრივ ხარჯების გასაწევად. მაგრამ, სოფლის საზოგადოებები არაფრის წინაშე არა ჩერდებოდნენ. ისინი ამბობდნენ: ჩვენ გადავიხდით იმას, რაც საჭირო იქნებაო. ეს ერთი. გარდა ამისა, ვიკისრებთ ყველა ამ შრომას, რომელსაც მოითხოვს ამ საქმის მოგვარება, ვინაიდან, დარწმუნებულნი ვართ, რომ მარტო სახელმწიფოს, თავის ძალ—ღონით ამ საქმის მოგვარება, რასაკვირველია, არ შეუძლიანო. მართლაც, რას ვაკისრებთ ჩვენ ხალხს? აქ არის ნათქვამი (კითხულობს)

2. დაეგალოს სოფლის საზოგადოებებს დაამზადონ ადგილობრივად საჭირო ბოძები და ბიჭვები ალაგზე მიტანით და ორმოების გათხრით. აგრეთვე უსასყიდლოდ მისცენ ფოსტა-ტელეგრაფის საჭიროებისათვის ოთხ თვალიანი სახლი გათბობა განთიებით და დარაჯით სამი წლის ვადით; ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის ბინის მოსაწყობათ და აეგჯალოს შესაძენად ერთ დროულად გადაიხადონ 2500 მანეთი, ხოლო ტელეფონის სარგებლობისათვის 500 მანეთი ყოველწლიურად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს სწორედ ის არის, რასაც ოპინიის სურვილისამებრ, ასრულებს ხალხი. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს არის სურვილი, არა მარტო დასავლეთ საქართველოსი, რომელზედაც, ასე თუ ისე, უფრო უკეთესი წარმოდგენაა ჩვენში, განსაკუთრებით ზოგიერთი მაზრებზე,—არამედ აღმოსავლეთ საქართველოს მრავალ კუთხეებში. მრავალ ადგილებში: ბორის მაზრაში, ტფილისის მაზრაში, ბევრ ადგილს უკვე ეს მუშაობა დაიწყო. ვინაიდგან, ფოსტა—ტელეგრაფის უფროსებს ძველ წესდების თანახმად, ისეთი უფლება ჰქონდათ, რომ, თუ საზოგადოება მოისურვებდა, და დაკმაყოფილებდა იმ პირობებს, რომელიც იყო მიღებული წინანდელ წესით მათ შეეძლოთ გაეხსნათ ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.

მრავალ ადგილას, რომელიც აქ არის ჩამოთვლილი, ხალხი სიამოვნებით იზიარებს ამას. მართალია, ჩვენ, ტელეფონის საგზებლობისათვის მოვითხოვთ ყოველ წლიგ 500 მან., მაგრამ, თქვენ დერწმუნებული უნდა ბრძანდებოდეთ, რომ ეს სრულიად არ არის ისეთი დიდი გადასახადი, რომელზედაც აქ ლაპარაკობენ.

მე არ ვიცი როგორ აქვს წარმოდგენილი, საერთოდ, ამ ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულების საქმე სოციალისტ-რევოლიუციონერთა წარმომადგენლებს. შეიძლება ისინი ფიქრობდნენ, რომ მომავალი ერობა გახსნის სკოლებს, გახსნის საავადმყოფოებს შემდეგ, მოსთხოვს სახელმწიფოს ფულს. სახელმწიფოს აქვს, რასაკვირველია, ამის შეძლება, გამოსცეს, მოსჭრას ფული, და, ამ მხრივ, ხალხი თავისუფალი იქნება ყოველგვარ გადასახადებისაგან. თუ თქვენ ესე არ ფიქრობთ მაშინ, პირდაპირ გასაკვირველია ამის წინააღმდეგ გამოსვლა. განა სულერთი არ იქნება ერობა გადასწყვეტს, ერობა გაიღებს ამ გადასახადებს, თუ წინასწარ დავაკისრებთ ჩვენ ხალხს. ამ მოსაზრებით, თუ შემდეგში შესდგა ერობა, ჩვენ სრული საშუალება გვექნება მთელი შემოსავალი, და იგივე გადასახადებას აკრება, ამ საქმის გამო, გადავცეთ იმავე ერობას. ტელეფონი არ არის ისეთი დაწესებულება, რომ უთუოდ იგი სახელმწიფოს ხელში იყოს. პირიქით უნდა გადაეცეს ერობას ამა თუ იმ ფორმით, როცა ერობა ყველგან მოეწყობა, საფუძველი ჩაეყრება ერობათა კავშირს. მაგრამ განა ხალხისთვის უკეთესი არ იქნება, რომ ეს საქმე, ამ ჟამად, ჩვენ ვიკისროთ? თუ კი შემდეგ საჭირო იქნება რაიმე ცვლილების შეტანა ამ საქმის კონსტრუქციაში, შემდეგში ეს დაეკისრება ერობას. ყოველ შემთხვევაში ერობა, ამა თუ იმ სახით, ამ საქმის მოსაგვარებლად ვალდებული იქნება, იძულებული იქნება, რომ ესა თუ ის გადასახადი მოითხოვოს, რომ თავისი ფინანსიური კეთილდღეობა ასე, თუ ისე მოაგვაროს. როცა ამის წინააღმდეგ ილაშქრებენ, მე ვეტვრ აქვთ თუ არა ნათელი წარმოდგენა ამ საერობო საქმეზე, რომელზედაც აქ ლაპარაკობენ იმ ჯგუფებს, იმ ფრაქციებს, რომელნიც ამისთანა წინადადებებს აყენებენ.

უნდა განვაცხადოთ, რომ მთელი ეს კანონ-პროექტი მრავალჯერ იყო სწორედ შესწორებული თანახმად იმ სურვილებისა, რომელიც ჩვენ წარმოგვიდგინეს საერობო მოღვაწეებმა. საერთოდ, როგორც გამოცდილება გვეუბნება ხალხი ამ გამოცხადებულ კანონ-პროექტს სიამოვნებით ეგებება. ამით ფრიად დაინტერესებულნი არიან საერობო მოღვაწენი. გარდა ამისა ჩვენ ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ ამას აქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა მნიშვნელობა ჩვენი კულტურული განვითარებისთვის, ხოლო შემდეგში, განსაკუთრებით იმ დროისთვის, როდესაც უნდათ გადასწყვეტა ჩვენი საერთაშორისო ბედი — ამას უსათუოდ არა ჩვეულებრივი მნიშვნელობა ექნება.

ყველაფერი ეს იმას გვაკარნახებს, რომ არავითარი საბუთი ამ კანონ-პროექტის წინააღმდეგ არც ფინანსიური არც პოლიტიკური აქ არ უნდა იყოს მოყვანილი, თუ მართლაც ჩვენ თვით სახელმწიფოს წყობიერებაზე სხვანაირი შეხედულებისა არ ვართ, თუ ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ სახელმწიფო ვალდებულია ყველაფერი თვით კაკაჟეთს, თავის ღონით იშოვოს ფული. ალბად ის ქალაქების ფული, რომელიც ჩვენ უნდა მოვსთხოვოთ ხალხს და ცალკე ვალდებულია იქნება ჩვენ წარმოგვიდგინოს. ჩვენ ვამბობთ: სახელმწიფომ, რომ მოსთხოვოს, როცა რაიმე საჭიროება იქნება, მინისტრებს თუნდაც პარლამენტს, რომ ყოველნაირი მოთხოვნა ნილება დააკმაყოფილოს და თვით კი არავითარი ვალდებულება არ იკისროს ამას რასაკვირველია, საქართველოს პარლამენტი ვერ გაიზიარებს. ჩვენ ის ხარჯთაღრიცხვა, რომელიც წარმოადგენს შემოსავალს, რომელიც აქ წარმოდგენილია, ჩვენი საზრით მეტის მეტად მცირეა. მე უნდა მოგახსენოთ მარტო ერთ სოფელში რა იყო შემოსავალი. მარტო ერთ დებეტში 1 ოქტომბრიდან 26 ოქტომბრამდის სოფელ ნიგოოთში შემოსულია 350 მანეთი. ჩვენ ფინანსიურ კომისიის წევრებს მაინც კარგად ახსოვთ, რომ ჩვენ მიერ სრულიად არიყო განაწილებული შემოსავალი დღეში, ვამბობდით იქნება ერთი დეკაში, გარდა ამისა იქნება ერთი დაკვეთილი წერილი და სამი უბრალო წერილი. ასე რომ შემოსავალი გაცილებით მეტია მე საშუალოდ ვამბობ, დანამდვილებით არ მოგახსენებთ.

უმთავრესი მხარეა ფინანსიური მოსაზრება. თუ ამ ფინანსიურ მხარეზე უფითებენ, მოგახსენეთ რომ რამდენიმე ხნის შემდეგ ეს საქმე იქნება შემოსავლის ახალი წყარო სახელმწიფოსთვის. ყოველ შემთხვევაში შემოსავალი დაფარავს ხარჯებს და ჩვენ გვექნება საშუალება გავაფართოოთ ეს ქსელი. ალბად ტელეფონი საპირო იქნება ბატარა სოფლებშიაც კი, ამიტომ თუ სოფლის საზოგადოებათა დაწესებულებში ჩვენ ვამბობთ, რომ საერთოდ ხარჯი, რომელსაც ჩვენ აქ მოვთხოვთ რასაკვირველია მცირე არ არის, მაგრამ თუ კი თქვენ მიიღებთ მხედველობაში, იმ გარემოებას, რომელიც ეხება ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებას. ასე რომ ხარჯი იქნება შედარებით მცირე—850 მან. ეს ნაგარაუდევია სამი წლის განმავლობაში. მე მგონია რომ ამ დიდი საქმისთვის პარლამენტი ალბად უარს არ იტყვის ამ ხარჯის გაწევაზე. რაც შეეხება ამ მოსწრებას რომ ჩვენ მართლა სოფლის საზოგადოება გავანთავისუფლოთ ბეგარისგან — მე უნდა განვაცხადო, რომ სხვა სახელმწიფო საქმის გაკეთების დროსაც, სხვა სახელმწიფოებში. მაგალითად ფინლიანდიაში ამ ნატურალურ შრომას ძალიან ფართოდ იყენებენ, მე მგონია, ამას ჩვენთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა იქნება კერძოთ ამ შემთხვევაში. რამდენადაც ჩვენ ვაშენებთ სახელმწიფოს რამდენადაც უნდა ვეცადნეთ რომ ხალხი ყოველგვარ ვალდებულებისაგან გავანთავისუფლოთ — ჩვენ ამას ვერ შევძლებთ. მე მგონია, სხვა გამოსავალი არ არის. სწორედ ამ გზას დავდგებით ეს არის ჩვენი მოვალეობა.

თუ კი ჩვენ ამ თვალსაზრისით შევხედავთ საქმეს და პარტიული სხვა რამ მოსაზრება არ გვაღაბარკეს — სდამფუძნებელი კრების მოახლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვების წინ—მე დარწმუნებული ვარ, რომ პარლამენტი ერთხმად ამ-ღებს, და მოიწონებს ამ კანონ-პროექტს, რომ ხალხს მივცეთ საშუა-ლება დაკმაყოფილოს მისი კულტურული მოთხოვნილება, რომ ამ გარდამავალ ხანაში. როდესაც, ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა არ არის უზრუნველყოფილი, —ერთი ახალი საფუძველი მოუპოვოდ— ჩვენს დამოუკიდებლობას, ჩვენს რესპუბლიკას და ამით განმტკიცდეს მისი განვითარება და ძლევამოსილება. (ტაში).

ივ. გობეჩია. (სოც.-რევ)მე შეტად მაკვირვებს რატომ დასჭირდა შინა ან საქმეთა მინისტრს ვრცელი სიტყვის წარმოსთქმა, იმის შესახებ, თითქოს ჩვენ სრულიად არ გვქონდეს ნათელი წარმოდგენა საერობო საქმეებზე. მე თავიდანვე განვაცხადე, რომ პირველი მუხლის საწინააღმდეგო ჩვენ არა გვაქვს რა. რომ საქართველოსთვის საჭიროა ფოსტა-ტელეგრაფ ტელეფონის ქსელის გავრცელება —ეს ცხადია და ამის საწინააღმდეგო არაფელი გვაქვს. ეს არის შეტად საჭირო საქმე, ეს არის დიდი კულ-ტურული საქმე, ეს არის დიდი იარაღი არსებობისა. მე განვაცხადე, რომ სასოფლო მეურნეობისათვის ამას დიდი მნიშვნელობა ექნება და სწორედ ამიტომ ჩვენ მხარს უჭერთ მას. იმის მტკიცება, ვითომც და ჩვენ წინააღმდეგი ვიყოთ ამ კულტურულ საქმისა სინამდვილეს არ შეეფერება. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ საერობო საქმის შესახებ ჩვენ გვაქს ნათელი წარმოდგენა, სწორედ ამიტომ ჩვენ მეორე მუ-ხლის წინააღმდეგი ვართ და ვიქნებით. აი სწორედ, ამიტომ ჩვენ გა-ვაცხადეთ, რომ ეს საქმე უნდა მოგვარდეს, უნდა გაკეთდეს, მხოლოდ ის გზა, რომელიც არჩეულია შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ მცდარი გზაა და ეს გზა არარის სავალდებულო მათთვის, ვისაც ნათელი წარ-მოდგენა აქვს საერობო საქმეებზე. როგორც ვხედავთ აქ არის ერთ გგარი ტენდენცია ზევიდან დაბეგვრისა. ამ საქმის შესახებ, რომ ხალხს თვითონ ეკითხოთ; რომ დავეკითხთ სამაზრო ერობებს ადგილობრივ— იქნება მათ სრულიად გაანთავისუფლონ ეხლანდელი ხაზინის კასა ყო-ველგვარ ხარჯის გაღებისაგან, და იმის განცხადება, იმის მტკიცება. რომ თითქოს ამ შემთხვევაში, მე მინდა მიეწოდო ხალხს, რომ მან არ გადიხადოს ეს ფული, ანდა ამით ხალხი მოვიმიზრო, და ერთგვარი აგიტაცია გავსწიოთ მომავალი არჩევნებისთვის, —ეს სრულიად არ შე-ეფერება არც სინამდვილეს, არც იმ სიტყვას, რომელიც მე აქ წამოვ-სთქვი.

მე პრინციპიალურად შევეხები ამ საქმეს.

ზევიდან ბრძანება კი არ არის საჭირო,—თქვენ გაქვთ შესაფერისი დრო, შესაფერისი საშუალება ადგილობრივ გაიგოთ თუ რა სურს ხალხს. რატომ გვირდებათ რომ ხალხი მუდამ ოპეკის და კონტროლის ქვეშ იყოს? მოსპეთ ეს სურვილი და გარწმუნებთ, რომ ხალხი უფრო მეტს ხარჯს გაიღებს. მაგრამ აქ პრინციპზე არის საქმე. რადგანაც ჩვენ დიდ უფლებას ვანაწილებთ ადგილობრივ თვით-მართველობას, რად-განაც სამაზრო ერობები დაარსებულია თითქმის ყოველ მაზრაში,— თქვენ გაქვთ საშუალება მიმართოთ მათ, რომ მათ მოგცეთ საჭირო სტატისტიკური მასალა, და ამ მასალის მიხედვით თქვენ წარმოადგი-ნეთ კანონ-პროექტი. აი ამას მოვითხოვთ.

მაგრამ ერთი დიდი მოსაზრება მოიყვანა შინაგან საქმეთა მინისტრ-მა, ტელეფონებს ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ უტელეფონოო ხალხი თითქმის ვერ გასძლებსო. ამიტომ საჩქაროდ შემოიტანა კანონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროექტი და მოითხოვს მის მიღებას. ასეთი სიჩქარე კანონ-პროექტსაც ეშინოდა. მიგრამ ასეთი ჩქარი ტემპით კანონის გაყვანას არ მოითხოვს, ჩემის აზრით ხალხი. რაშია ხაქმე? მეოცე საუკუნემდე უტელეფონოდ ცხოვრება შესაძლებელი იყო. არც ტელეფონი, არც უნივერსიტეტი ჰქონია ხალხს. მას ბევრი რამ აკლდა. ეს ყველაფერი ჩვენ უნდა მივცეთ მას. ამას მოითხოვს ხალხის ინტერესი, ამას მოითხოვს სამართლიანობა. მით უმეტეს, რომ ამისთანა სურვილი ექნებათ ხალხის ინტერესების დამცველებს. რასაკვირველია, იმათ უნდა ჰქონდეს საშუალება ისარგებლონ ფოსტა-ტელეგრაფით და ტელეფონით. მაინც და მაინც ასეთი საქმე არ უნდა გავატაროთ ასე ჩქარა; წინდაწინ უნდა ვიცოდეთ, თუ რამდენს გაიღებს ხალხი და როგორ უყურებს ამ ხარჯს. შესაძლებელია, რომ სოფლის საზოგადოებამ არ მოისურვოს ამ საქმისთვის შესაფერისი თანხის გადადება, შეიძლება იგი უარყოს, მაგრამ შეიძლება მთელი საქართველო მიემხროს ამ კანონ-პროექტს. საერთოდ მე ღრმად მწამს, რომ ყოველი სამაზრო ერობა ღიდის აღტაცებით მიეგებება ამ კანონ-პროექტს, და შეიძლება მათ ხარჯებიც მიიღონ. მხოლოდ მე პრინციპიალურად ვაყენებთ საკითხს და მოკითხოვთ, რომ რომ მომავალში ასეთ კანონ-პროექტის შემუშავების დროს მეტი პატივის-ცემით მოვეპყროთ ადგილობრივ ოვით მართველობებს. აი, ამიტომ მე შემოვაქეს წინადადება,— დაუბრუნდეს კანონ-პროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ სამაზრო ერობებს მიეცეს საშუალება შეკრიფონ ცნობები, თუ რამდენი ხარჯის გაწეგა შეუძლიან ამ საქმის განსახორციელებლად, და შემდეგ შესაფერისი კანონ-პროექტი შემოიტანოს.

თავმჯდომარე ვის ნებავს სიტყვა კანონ-პროექტის შესახებ.

ალ. ლომთათიძე. შემოტანილი გახლავთ წინადადება, რომ შესწყდეს კამათი.

თავმჯდომარე კენჭს ეყრი ამ წინადადებას, რომ კამათი შესწყდეს. კამათი შეწყვეტილია.

ვ. ქავთარაძე, (ალ.) ბ. შინაგან საქმეთა მინისტრის და პარლამენტის წევრის დადიანის სიტყვის შემდეგ მე ცოტა ღა დამრჩენია საპასუხოდ. ბატონ გობეჩიას, რომელსაც აშინებს მეორე მუხლში აღნიშნული ხარჯი, რომელიც აწვება სოფლის საზოგადოებებს ფოსტა ტელეგრაფის და ტელეფონის შესახებად მე უნდა მოვახსენო, რომ ეს ხარჯი მცირეა. ვინც იცობს დღევანდელ სოფლის ფინანსიურ მდგომარეობას და ფოსტა ტელეგრაფის და ტელეფონის საჭიროებას სოფლების მიერ ამ საჭიროების შეგნებას, მათი წარმოდგენით ეს ხარჯი მცირეა. მაგრამ გობეჩიამ მეორე სიტყვაში აღიარა, რომ თუ სოფელს დაეკითხებით იგი დარწმუნდება, რომ ეს მართლა მცირე ხარჯია და კიდევ მეტს გაიღებსო. სწორედ ამას ამბობს უწყება, რომ მეტს გაიღებს სოფლის საზოგადოება. უწყებას გუშინ არ შეუდგენია ეს კანონ-პროექტი. საფინანსო კომისია დარწმუნებული იყო, რომ ამ კანონ-პროექტის შედგენისთვის უწყებას დიდი შრომა გაუწევია ამ კანონ-პროექტის შედგენის დროს. ბევრი მალალა დაუგროვებია წინა წლებში და ამის შემდეგ გამოუმუშავებია ეს კანონ-პროექტი.

ბატონმა გობეჩიამ განაცხადა, რომ პრინციპიალურად ვართ ამის წინააღმდეგნიო. პრინციპი თავის პირველ სიტყვაში ამ ნაირად გამოხა-

---

საქართველოს პარლამენტი. გაზ. „საქარ. რეს.“ დამატება № 50.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტა: რომ შეუძლებელია ხალხის დაბეგვრა ხალხის დაუკითხავად. ეს ძალიან ერთგვარი პრინციპიალური დებულებაა. თუ ამ დებულებას გაუწევთ ანგარიშვს, თუ ამას ვაღიარებთ, ეს იქნება უარყოფა ასეთ კანონ-პროექტისა და ყველა სხვა ფინანსიურ ხასიათის კანონ-პროექტის, რომელიც აქ ყოფილა წარმოდგენილი. თუ ასეთი წესი არის დამყარებული ჩვენში ან იქნება დამყარებული რომ ყოველგვარ გადასახადს და ბეგარას დაწესებთ მაშინ, როდესაც თვითეული სოფელი და სოფლის საზოგადოება ხმას მისცემს ამ საკითხს, ბეგრის დაწესებას თუ არ დაწესებას, მაშინ რასაკვირველია, ეს კანონ-პროექტი ამ წესით უნდა იქნას შემოტანილი. მე არ შევეხები იმას, თუ რამდენად სასურველია ამ ნაირი წესი. მაგრამ ამ ნაირი წესი ჯერ არ არის დამყარებული ჩვენს სახელმწიფოში. აქ არის სხვა წესი, გობეჩრის მგონია, რომ ეს არის ხალხის დაუკითხავად, მაგრამ აქ არის ხალხის წარმომადგენლობა და მათ ეკითხებიან. მთავრობას შემოაქეს წინადადება და ხალხს ამ წარიომადგენლების სახით ეკითხება. და თუ ეს წარმომადგენლობა, ხალხის წარმომადგენლობა დასტურს აძლევს კანონ-პროექტს, ხალხის და მის წარმომადგენლების თანხმობით დასტურით ხორციელდება ესა თუ ის კანონ-პროექტი და თუ მთავრობამ კანონის განხორციელება დაიწყო, ერთგვარი რეფერენდუმის მოუხდენლად ამ საკითხის გარშემო ხალხში, ან წესი დაარღვია და ხალხის დაუკითხავად წარმოადგინა კანონ-პროექტი, აი მაშინ ექნებოდა სრული უფლება და საფუძველი გობეჩრისებურ განცხადებას, რომ ხალხის დაუკითხავად, ყოვლად შეუძლებელია ზევიდან დაბეგვრაა.

აქ შეიძლება ზევიდან დაბეგვრა არის მაგრამ მთავრობის კანონ-პროექტი იქნება დადასტურებული ხალხის მიერ მისი წარმომადგენლების სახით, ამიტომ რასაკვირველია, არ გამოდგება ის მოსაზრება, თუ რა მნიშვნელობა აქვს და რა საჭიროებას მოუტანს ჩვენ ხალხს ამ კანონ-პროექტის განხორციელება. მხოლოდ იმ პრინციპის, იმ მოსაზრების შესახებ უნდა ვითქვა—ეს არის წესიერი გზა კანონ-პროექტის განხორციელებისა. ამით მთავრობას არც ხალხის ინტერესი დაურღვევია და არც ჩვენი სახელმწიფოს სუვერენობა შეუბღალავს ამ კანონ-პროექტის წარმოდგენით და მის დადასტურებით ხალხის წარმომადგენლების მიერ. მთავრობა უნდა ეცადოს, რომ რაც შეიძლება სისწრაფით დაამყაროს ეს უსაჭიროესი მოთხოვნილება ხალხისა.

თავმჯდომარე. წინადადება არის შეაოტანილი, რომ კანონ-პროექტი დაუბრუნდეს კომისიას. ვინ არის წინააღმდეგი? უმრავლესობა. მაშასადამე წინადადება გასულია. ვინ არის წინააღმდეგი, რომ გადავიდეთ კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვაზე. არავინ. გთხოვთ წაიკითხოთ პირველი მუხლი.

ბ. ქავთარაძე. (კითხულობს I მუხლს.)

დაარსებულ იქმნას საქართველოს ყოველ სოფლის საზოგადოებაში ფოსტა ტელეგრაფის და ტელეფონის განყოფილება.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი ამ მუხლისა? არავინ. მუხლი მიღებულია.

შემდეგი მუხლი.

ბ. ქავთარაძე. (კითხულობს 2 მუხლს)

2. დაეკალოს სოფლის საზოგადოებებს უსასყიდლოდ დაამზადონ ადგილობრივად საჭირო გოძები და ბოჯგები ალაგზე მიტანით და ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოების გათხრით; აგრეთვე უსასყიდლოთ მისცენ ფოსტა-ტელეგრაფის საჭიროებისათვის ოთხ-თვლიანი სახლი, გთბობა განათებით და დარაჯით სამი წლის ვადით; ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის ბინის მოსაწყობად და ავეჯულობის შესაძენად ერთდროულად გადაიხადონ 2500 მან., ხოლო ტელეფონის სარგებლობისათვის 500 მან. ყოველ წლიურად.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა ამ მუხლის შესახებ? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

მესამე.

3. ქავთარაძე. (კითხულობს მე 3 მუხლს)

3. დაეკალოს სასოფლო მილიციას ფოსტის გატან-გადმოტანა.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგ? მიღებულია.

მე-IV მუხლი.

3. ქავთარაძე. (კუთხულ. მე-4 მუხ.)

4. გადადებულ იქნას სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში ამ საქმის წესაწყობად სამი წლის ვადით 178, 6240 მან.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია,

მე-5, მუხლი.

3. ქავთარაძე. (კითხულ. მე-5, მუხ.)

5. ამ კრედიტის საზღვრებში მიეცეს შინაგან საქმეთა მინისტრს უფლება შეიძინოს შესაფერი მასალა 936240 მან. ღირებული ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის საწყობიდან თანახმად წარმოდგენილი ნუსხისა.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

მე-6 მუხლი.

3. ქავთარაძე. (კითხულობს მე-6, მუხლს.)

6. გადადებულ იქნას სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში 150000 მან. ამ კანონით ახლად დაარსებულ საფოსტო განყოფილებათა შტატების შესანახად 1819 წლის დამლევამდე. აქ დართული აქვს კანონ პროექტს სამუშაოს აღწერა და თუ გნებავთ ამ ნუსხას და სამუშაოს აღწერას წაგიკითხავთ.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგ? მიღებულია. ეხლა მთელ კანონპროექტს უყრი კენჭს. ვინ არის წინააღმდეგ? მიღებულია და გადაეცემასარედაქციო კომისიის. შემდეგი კანონ პროექტი. მომხსენებელია ლეო ნათაძე.

ლ. ნათაძე. (ს. დ.) ბატონებო, კითხვა ეხება ახალ წინგო-საცავ-სამკითხველოების გახსნას.

სიტყვას არ გავაგრძელებ, და არ ავსხნი, რა მნიშვნელობა აქვს ამ დიდ საქმეს ჩვენს ჩამორჩენილ სოფლებისთვის. ეს ყველასთვის ცხადია ამაზე ლაპარაკი ზედ მეტია. მაგრამ ორიოდე სიტყვას მოგახსენებთ იმის შესახებ თუ ამ დღევანდელ პოლიტიკურ მომენტში, დღევანდელ საერთაშორისო მომენტში, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის სოფლების წიგნთ საცავ-სამკითხველოების ქსელით დაფარვაც.

შინაგან საქმეთა მინისტრმა უკვე მოგახსენათ, როცა ფოსტა ტელე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრაფის და ტელეფონის შესახებ ილაპარაკა, თუ რა დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს, თუ ჩვენ ამისთანა კულტურულ დაწესებულებით დავფარავთ მთელს ჩვენს ქვეყანას. ამას ისეთივე კულტურული მნიშვნელობა ექნება. ასე ჩვენ ავამაღლებთ ჩვენს ქვეყანას უცხოელების თვალში.

როდესაც კონფერენციაზე, ან სხვა რამ საერთაშორისო კრებაზე ჩვენ ქვეყანაზე დაიწყებენ ლაპარაკს, მაშინ ჩვენს ქვეყანას უფრო დიდ პატივისცემით შეხედავენ. დაუმატეთ, რომ ჩვენს დედა ქალაქში სამი უმაღლესი სასწავლებელია.

როცა თანახმად ამ კანონ-პროექტისა მთელი ჩვენი ქვეყანა დაიფარება წინგთ საცავ სამკითხველოებით ამ მოკლე ხანში ჩვენ რასაკვირველია საყოველთაო სწავლის განხორციელებას უნდა მივყოთ ხელი და როდესაც ჩვენს ქვეყანას დაფარავთ წინგთასაცავ სამკითხველოებით და სკოლებით—ამას დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა ექნება. აღარ ვიტყვი თუ რა დიდი კულტურული მნიშვნელობა ექნება ამას. განმასახიერებელი თვისება ამ კანონ-პროექტისა იმაში მდგომარეობს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრს ევალება ამ კანონ-პროექტის განხორციელება. შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელში გადადის ის თანხა, რომელიც ამ კანონ-პროექტის განხორციელებისთვის იქნება საჭირო.

ამან ცოტა არ იყოს შეიძლება ცოტაოდენი უთანხმობა გამოიწვიოს და ზოგმა შეიძლება გაკვირვება გასოსთქვას, რატომ ეს არ უნდა გადაეცეს იმ სამინისტროს ე. ი. განათლების სამინისტროს, რომელსაც პირდაპირ შეეხება ეს საქმე. ჩვენი კომისია ამ საქმეზე ისეთ შეხდულობისაა, რომ ეს საქმე ამ პროექტის გატარება პირდაპირი მოვალეობაა პირველად ერობისა, მაგრამ რადგანაც ჯერჯერობით ერობა არ გვაქვს ეხლა შენდება სამაზრო ერობა, ხოლო მცირე საერობო ერთეულებზე ლაპარაკი ჯერ კიდევ ნაადრევია,—როდესაც კანონ-პროექტი მცირე საერობო ერთეულზე ჯერ არც კია მიღებული და ეს კანონ-პროექტი კი პირდაპირ მცირე ერთეულს უნდა გადაეცეს ხელში, იმიტომ რომ ეს პირდაპირ შეეხება სოფლის საზოგადოებებს. თუ ჩვენ ამას მივიღებთ შეიდგეელოებში კითხვა ესე უნდა დავაყენოთ: ეხლა რომელი დაწესებულება, რომელი სამინისტრო უფრო ადვილად გაატარებს, უფრო ადვილად მოუმზადებს ნიადაგს ამ გარემოებას რომ, როცა მომავალში, რადესაც ერობას დავაარსებთ ამ ერობას ჩაებაროს ხელში მზა მზარეულად დაარსებული კულტურული დაწესებულება თუ ავიღებთ და შევადარებთ შინაგან საქმეთა სამინისტროს და განათლების სამინისტროს მაშინ ჩვენც უნდა ვსთქვათ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო უფრო ადვილათ გაატარებს ამ საქმეს ამ კანონ-პროექტს ვიდრე განათლების სამინისტრო, იმიტომ რომ განათლების სამინისტროს, რომელსაც ერთად ერთი ორგანონ აქვს, რომელითაც შეუძლიან პირდაპირ სოფლებთან ქონდეს კავშირი. ეს ერთად ერთი ორგანონ არის საზოგადო სკოლების ინსპეკტორი. მაგრამ ეს ინსპექცია დაშორებულია სოფლებთან იმას ეხლანდელი უგზოობის გამო გაუძნელდებათ ყოველ სოფელში მისვლა, ყოველ სოფლის საჭიროების გამოშკარავება და იმის განხორციელება რაც საჭიროა. მთელად თუ მართლა ისე ადვილად და სისწრაფით გატარდება ეს კანონ-პროექტი, ისე როგორც საჭირო არის, როგორც ეს მოსახერხებელია—გატარება შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელში. რომელსაც ჰყავს აგენტები და რომელთაც შეუძლიანთ პირდაპირ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილად გაატარონ ეს კანონ პროექტი. ამათ აქვთ პირდაპირი კავშირი ხალხთან ხალხის მასსასთან, ამიტომ აქ კითხვა ასეა დაყენებული: რომელი სამინისტრო გაატარებს, რომელ სამინისტროს განკარგულებაში იქნება მომავალში ეს კითხვა. შინაგან საქმეთა სამინისტრო დასთანხმდება განათლებას სამინისტროს, რომ მის ხელში იყოს ეს საქმე—ოღონდ კი თვითონ გაატაროს ეს კანონ-პროექტი.

ვის განკარგულებაში იქნება სამკითხველო წიგნთ საცავები ამაზე კამათი არ იქნება.

სამკითხველო და წიგნთ საცავები იქნება, რასაკვირველია იმ ერობის ორგანოების ხელში, რომელნიც სპეციალურად ამისთვის იქნებიან დაარსებულნი. ასეთ საერობო ორგანოებს, რომელნიც წიგნთ საცავ სამკითხველებს და აგრეთვე სკოლებს განაგებდნენ, რასაკვირველია, ასეთ ორგანოებს პირდაპირი დამოკიდებულება ექნებოდა განათლების დაარა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან. მაშასადამე აქ კითხვა ასეა დაყენებული,—რომელი სამინისტრო უფრო ადვილად და უფრო სისწრაფით როგორც საჭიროა გაატარებს ამ კანონ-პროექტს? ჩვენი კომისია დასთანხმდა იმ აზრზე, რომ შინაგან სამინისტრო უფრო ადვილად გაატარებს ვიდრე განათლების სამინისტრო. და ეს კანონ-პროექტი კი ასეთ სისწრაფით რევოლიუციის გზით არის გასატარებელი, ჩვენ იმას არ უნდა გამოუდგეთ—ვის უფრო შეეფერება წიგნთ საცავ სამკითხველოების ცხოვრებაში გატარება.

ოღონდ კი გატარდეს და ვინც გაატარებს სულ ერთია. შინაგან საქმეთა მინისტრი თუ განათლების მინისტრი ასარულებს ამ საქმეს ეს სულ ერთია. მთავრობა ასე უყურებს საქმეს ოღონდ—გატარდეს და ეს სულ ერთია თუ ვინ გაატარებს. ოღონდ კი ერობის საშუალებით ეს საქმე თვითმმართველობას დაექვემდებაროს.

აი, ამ მოსაზრების გამო ჩვენ დავთანხმდითთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს უნდა მივცეთ ეს თანხა, რომელიც საჭიროა ამ კანონ-პროექტის განსახორციელებლად. თვით კანონ-პროექტი 8 მუხლისგან შესდგება.

თავმჯდომარე პარლამენტის წევრი არჩილ ჯაჯანაშვილი.

არ. ჯაჯანაშვილი. (ს. ფ.) ბატონებო, რასაკვირველია ბევრი ლაპარაკი არ არის საჭირო იმის შესახებ, რომ ბიბლიოთეკები საჭირო არის. რაც უფრო ბევრი ბიბლიოთეკები იქნება, მით უკეთესია, ხალხის განათლებისათვის. მაგრამ ჩვენ ვერ დავთანხმებით მომხსენებლის აზრს, რომ ბიბლიოთეკის გახსნის საქმე უნდა დაეკისროს შინაგან საქმეთა მინისტრს. როდესაც რუსეთში შინაგან საქმეთა სამინისტრო კულტურულ და სხვა დარგს თავის გავლენის სფეროში ითრევდა მას განსაკუთრებული მიზანი ჰქონდა, მას უნდოდა ადგილობრივ ეს კულტურული დაწესებულება გამოეყენებინა იმ პოლიტიკის საწარმოებლად რომელზედაც თვითონ იდგა და ატარებდა. მე არ ვიტყვი, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ამ მოსაზრების ძალით ჰსურდეს ბიბლიოთეკები დაუმორჩილოს თავის უწყებას. მე უფრო იმას დავიჯერებ, რომ სამინისტრო დაინტერესებული არის საქმით და მას უნდა რაც შეიძლება მალე გაიხსნან ეს სამკითხველოები. შესაძლებელია სამინისტრომ ფოსტა-ტელეგრაფის, და ტელეფონის საქმესთან ერთად სამკითხველოების დაარსება იკისრა იმიტომ, რომ ფოსტა-ტელეგრაფი ტელეფონი და სამკითხველოები—ეს არის მასალა ერობის და რადგანაც ერობის შექმნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელმძღვანელობს თვით შინაგან საქმეთა სამინისტრო, ამიტომ რასაკვირველია უფრო უკეთესი იქნება, რომ ეს მასალაც შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამზადოს და დამზადებული მასალა კომპაქტურად გადასცეს ბომბეულ ერობას. მე მგონია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ამით ხელმძღვანელობდა. მაგრამ ეს მოსაზრება მე საბუთად არ მიმაჩნია. შინაგან საქმეთა სამინისტრო მართალია ხელმძღვანელობს ერობის შექმნის საქმეს მაგრამ ამ დაწესებულებებისათვის, მომავალ ერობისათვის მასალას ამზადებს არა მარტო შინაგან საქმეთა სამინისტრო, არამედ განათლების სამინისტროც.

ჩვენ ვიცით, რომ თვით სახალხო სკოლები მომავალში გადადა განათლების სამინისტროს ხელში. ამიტომ განათლების სამინისტროს ამ შრომაში უპირატესობა უნდა მიეცეს შინაგან საქმეთა სამინისტროზე. მე მგონია ამ მოსაზრებაზე უნდა დავდგეთ, რომ ბიბლიოთეკები და სამკითხველოებიც, რომლებიც არ ხვდება სკოლებთან უნდა დაეკვემდებროს სახალხო განათლების სამინისტროს. ეს მით უფრო საჭიროა, მიუხედავად მომხსენებლის განცხადებისა, რომ საოკეთესო დამზადებული აპარატი სახალხო განათლების სამინისტროს უფრო აქვს, ვიდრე შინაგან საქმეთა სამინისტროს. თვით კანონ-პროექტით სამკითხველოების ხელმძღვანელობა ევალება სოფლის მასწავლებელს, რად უნდა გამოაცალოთ ხელიდან ერთად ერთი კულტურული დაწესებულება სოფელს? და ამას მოკლებული იქნება სოფელი, თუ ამ ამ კულტურულ დაწესებულებას გაუწევს ხელმძღვანელობას რა მასწავლებელი თავის უწყების საშუალებით, არამედ კომისრების საშუალებით, რომელნიც ეკვემდებარებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს. ამ მოსაზრების ძალით ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის მუხლი, რომლის ძალითაც სახალხო სამკითხველოების ხელმძღვანელობ და გახსნა ევალება შინაგან საქმეთა სამინისტროს—უნდა შეიცვალოს სხვა ნაირად. როგორ უნდა შეიცვალოს, ამას მაშინ მოგახსენებთ, როდესაც შეუდგებით კანონ-პროექტის განხილვას.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს თევზაძეს ილიას.

ილია თევზაძე. (ს. რ.) ბატონებო, იმის მტკიცებას, რომ წიგნთსაცავ სამკითხველოები ფრიად საჭიროა ჩვენის ხალხისთვის, მე აქ არ შეუდგები. ეს ცხადია. ნათელია და ყველასათვის უდაოა და ამაზე ლაპარაკი ზედ მეტად მიმაჩნია. ეს უკვე დასაბუთებულია და კანონ პროექტი ერთად ერთად მისაღებია.

მაგრამ რაც შეეხება თვით კანონპროექტის ცხოვრებაში განსახილერების წესს, იმ წესს, რომელიც წამოაყენა მომხსენებელმა, იგი ჩემის აზრით მიუღებელია და ყოვლად შეუწყნარებელი იმავე მოსაზრებით, რომელი მოსაზრებაც აქ მოიყვანა თვით მომხსენებელმა. აქ ლაპარაკობდნენ, ვითომც შინაგან საქმეთა სამინისტრო უფრო ჩქარა და უფრო ადვილად მოაწყობს და მოაწესრიგებს იმ დიად კულტურულ საქმეს, როგორიც არის სამკითხველოს მოწყობა და მოწესრიგებაო. ეს აზრი ჩემის შეხედულობით არ არის სწორი და მართალი. მაშინ, როდესაც შინაგან საქმეთა მინისტრს დღეს დღეობით აუარებელი სხვა და სხვა თვის პირდაპირი საქმე აწევს თავზე. აუარებელი ვალდებულობა აქვს აი, სწორედ ამ დროს ყოველად შეუძლებელია მას კიდეც მიუმატოთ ეს მისთვის არა პირდაპირი საქმე, როგორიც არის წიგნთსაცავ სამკითხველოების დაარსება. ამას თვით მომხსენებელმა გაუსვა ხაზი, რომ ეს არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის პირდაპირი საქმე შინაგან საქმეთა სამინისტროსაო. მაგრამ ის ამ-ბუთებს იმით, რომ ის უფრო ადვილად მოაწესრიგებს ამ საქმეს და უკვე მოწყობილს ჩააბარებს შემდეგ ერობას. არა ბატონებო, უფრო დაიგვიანებს. როგორც მოგეხსენებათ უფრო რთული და ბევრი საქმე აწევს შინაგან საქმეთა სამინისტროს. იმავე საქმეს, რაკიმცა უნდა, უფრო ადვილად მოაწყობს განათლების სამინისტრო, ვინაიდან ეს მისი პირდაპირი საქმე არის, ეს მისი ვალდებულობა არის, ეს მისი დანიშნულება. სწორედ ამას უფრო ჩქარა, უფრო კარგად მოაწესრიგებს და გადასცემს მზა მზარეულად შემდეგ ერობებს. სწორედ სახალხო განათლების სამინისტრო. არ ვიცი რა მოსაზრებით, რა დებულებით ხელმძღვანელობდა კომისია, როდესაც შეიმუშავა ეს კანონ პროექტი. მაგრამ სწორედ ის პრინციპი საქმიანობისა, საქმის სარგებლობისა, საქმის ინტერესებისა, რომელიც ჩვენ ხშირად გვესმის ამ ტრიბუნადან, სწორედ ამ კომისიას ჩემის აზრით, სრულიად უკუ უგდია და სულ ჩემთვის რაღაც გაუგებარი მოსაზრება დაუდვია საფუძველად ამ კანონ-პროექტისთვის. ბატონებო, ჩვენი წინადადება იქნება: რა თქმა უნდა ეს კანონ-პროექტი სავსებით მისაღებია, როგორც კვლავ მოგახსენეთ მაგრამ მისი განსახილერება უნდა დაეგვალოს სახალხო საქმეთა სამინისტროს. ეს მის ვალდებულობას შედგენს. მე მეშინიან და მინდა პატარა შედარება მოვიყვანო ამ საკითხის შესახებ. ვაი თუ ისე ჩქარა და ისე კარგა ვერ მოაწყოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, როგორც ეს ბჭონიათ და ამტკიცებენ. მე ყოველად შეუძლებლად მიმაჩნია დედას მოვწყვიტოთ ბავშვი ძუძუდან და გადავცეთ ძიძას და ვთქვათ, რომ ეს ძიძა დედაზე უფრო კარგად აღზრდის ბავშვს. ჩვენი წინაღადება, რომ სწორედ დედამ აღზარდოს თავის შვილი და ჩვენ დაუქერეთ მხარს, რომ ამ საქმის მოწესრიგება გადაეცეს სახალხო განათლების სამინისტროს.

თავმჯდომარე. შინაგან საქმეთა მინისტრი.

შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი. მოქალაქენო, ხალხის წარმომადგენელნო. საკითხი, რომელიც თქვენს წინაშე სდგას, არის საყურადღებო არა იმ მხრივ, რომ ის უმთავრესად ყურადღებას იქცევს, არამედ მეორეს მხრივ — რა სარგებლობა შეუძლია მოიტანოს ამ საქმემ საერთოდ. ჩვენ, განსაკუთრებით ეხლა უნდა ფაქიზშნოთ, რომ ყველა პარტიის წარმომადგენელნი, რომელნიც გამოდიან ამ ტრიბუნაზე, აღიარებენ, და ადასტურებენ იმას, რომ ეს საქმე ფრიად საყურადღებო იქნება ამ ჟამად, ერთი ორატორი უსაყვედურებს კომისიას, რომ მან შეიმუშავა კანონ-პროექტი თავვრობისა, რომელიც შემდეგ მოიწონა სახალხო განათლების კომისიამ. ერთად — ერთი საადა საგანია, თუ ვის უნდა დაეკვემდებაროს წიგნ-საცავ საკითხველოების საქმე. ამის შესახებ თავვრობას აქვს გადაჭრილი აზრი: - ისინი დაექვემდებარებიან ერობას. სახალხო განათლ. სამინისტროს საქმე იქნება, რასაკვირველია, კონტროლის საქმე. შეიძლება ზოგიერთ წევრმა პარლამენტისა არ იცოდეს, რომ არსებობს უკვე კანონად ქცეული დადგენილება წინანდელი თავვრობისა, ეს იყო ამიერკავკასიის თავვრობის დროს, რომლის და მიხედვით ერობის დაარსების შემდეგ მთელი რიგი დაწესებულებისა ერობას უნდა გადაეცეს. მაგალითად აგრარულ კანონპროექტების განხორციელება, საადგილმამულო დაწესებულებანი, პირველ დაწყებითი სკოლები მის ხელში იქნება. ამიტომ ჩვენ გვეგონა, რომ მის ხელშიე იქნება წიგნ-საცავ საკითხველოების საქმე. მაშასადამე პრინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციპიალური საკითხი, რომელიც თქვენს წინაშე სდგას თავის თავად არის საბოლოოდ გადაჭრილი ეს მთავრობაში ერთვითარ დავას არ იწვევს. მე ღრმა რწმენა მაქვს, რომ პარლამენტი უსათუოდ მას შეუერთდება, აქ არის მეორე საკითხი: როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ამ კანონ-პროექტის განხილველება რაც შეიძლება დავაჩქაროთ. მხოლოდ ეს საკითხი არის ჩვენს წინ და არა ის, თუ ვის ხელში იქნება ეს საქმე. მე უნდა გავიმეორო, რომ ის იქნება ერობის ხელში. როცა არსებული სკოლები და წიგნთა საცავ სამკითხველოები გადაეცემა ერობას, სახალხო განათლების სამინისტროს ხელში იქნება კონტროლი, როგორც ერთ, ისე მეორე დაწესებულებაზე. როცა მთავრობა იხილავდა ამ კანონ-პროექტს ჩვენ გამოვდიოდით პრაქტიკულ მოსაზრებიდან, — არსებობს ერთნაირი ტრადიცია. ეს ტრადიცია არსებობდა ძველს რუსეთში და ის ფაქტიურად არსებობს დღესაც. თუმამ ტრადიციას ანგარიშს გაუწევეთ, თუ ეს ჩვენ გვინდა განვახორციელოთ დაუყოვნებლივ, მაშინ ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ ეს შეუძლიან უბირველეს ყოვლისა შინაგან საქმეთა სამინისტროს გასაკუთრებით იმიტომ, რომ არსებობს ისეთი სოფლები, სადაც არც ერთი სკოლა არ არის გახსნილი და შესაძლელია, ინსპექტორები ვერ წავიდნენ. საცა სკოლები არ არსებობს იქ წიგნთ-საცავ სამკითხველოების საქმე მოუწყობელია. მე მგონია, რომ ეს იქნება საკითხის დიდი-ხნით დაგვიანება, განსაკუთრებით ისეთ პირობების დროს, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, ამ ჟამად. რომ მართლაც და სახელდახელოდ, ერთ-ბაშად განახორციელოთ ეს კანონ-პროექტი სხვა ორგანიზაციის მიერ, ეს შეუძლებელი იქნება თუ არ იქნა გამოყენებული ის აპარატი, რომელიც არის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელში. ჩვენ გვაინტერესებს ამ საკითხის მხოლოდ ერთი მხარე და არა დავა უწყებათა შორის. ვინაიდან, თავისთავად ეს საკითხი უკვე გადაჭრილია ერობის სასარგებლოდ, ამიტომ ეს მეორე საკითხი უსათუოდ უნდა მოიხსნას.

აქ ერთი ორატორი ამბობდა, რომ კომისიას არ შეუძლია მასწავლებელს მისცეს რაიმე დირექტივები. განა დირექტივებში არის საქმე? დირექტივებს მისცემს სახალხო განათლების მინისტრი. მაგრამ, როცა ამ სმენეს ვანხორციელებთ, აი ამ საქმის განხორციელების დროს მზამზარეულ აპარატით ვისარგებლებთ, და გამოვიყენებთ მას. სწორეთ ამიტომ ჩვენ შევიმუშავეთ ისეთი ფორმა, რომელიც მე მგონია, ყველასვის მისაღები უნდა იყოს. ერობა მრავალ არდგილს უკვე არსებობს და ეს იქნება უფლების მიცემა საქართველოს რეპუბლიკაში, რასაც გამოაკუთრებელი მნიშვნელობა აქვს. იმიტომ, რომ სხვას რომ თავი დავანებოთ, მრავალ ადგილას სრულიად არ იციან ჩვენი კანონები ოდნავადაც არა აქვთ მათზე წარმოდგენა. ჩვენ უნდა შივცეთ მათ ყველა ეს. ბევრ ადგილს ავანსებით დახმარება უნდა აღმოუჩინოთო, შემდეგ კი საქმის განვითარება იქნება დამოკიდებული თვით ერობაზე და არა რომელიმე სამინისტროს მოქმედებაზე და ენერგიაზე. ამიტომ ეს მეორე საკითხი, თუ შართალი ჩვენ არა გვსურს ამ საქმის განხორციელება რამოდენიმე თვით გადავდოთ, და ვგინდა ვისარგებლოთ არა ჩვეულებრივ მომენტით, — უნდა მოიხსნას. უნდა მოგახსენოთ, რომ მრავალ ადგილას არსებობს იმისთანა მაზრა, სადაც ორი სოფელიც კი არ მოიპოვება, სადაც სკოლები იყოს გახსნილი. იქ, სადაც ალბათ იყო, მაგალითად თიანეთის მაზრაში, ჩვენ არ გვაქვს სკოლები, წიგნთსაცავები და საერთოდ სადაც სწავლა-განათლების საქმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საერთოდ სადაც სწავლა-განათლების საქმე დაქვეითებულია, სწორედ აქ იქებნა საჭირო მა თანხის გადადება, რომელიც დაჩრება ადგილობრივ თვითმართველობებს. დასავლეთ საქართველოში სრულიად ზედმეტი იქნება ხოლმე დახმარების აღმოჩენა. მე ვამბობ, რომ ჩვენს ხალხს დახმარება აღმოუჩენთოთ და მივცეთ საშუალება ამ კულტურულ დაწესებულებით ისარგებლოს. და ამ კანონ-პროექტის დაჩენებით განსახორციელებლათ საჭიროა ვისარგებლოთ იმ აპარატით, რომელიც მზად არის. ვინაიდან ასეთი აპარატი არის სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელში და ამიტომ ამ კანონ-პროექტის განხორციელება უნდა გადაეცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს. თითვრობა ამ გზას უნდა დაადგეს. მხოლოდ ამ გზით შეიძლება, რომ ეს საქმე განხორციელდეს.

ვაცა იმის შესახებ, თუ ვის ხელში უნდა გადავიდეს ეს საქმე შემდეგში თავის თავად მოიხსნება. მე წინად ვამბობდი და ახლაც გავიმეორებ: რომ ეს უნდა გადაეცეს, რასაკვირველია ერობას. სახალხო განათლების სამინისტროს ხელში კი იქნება ჩვეულებრივი კონტროლი... თუ რა წერილი უნდა სწარმოებდეს მიწერ მოწერა სამინისტროსა და მასწავლებლის შორის, — დაინტერესებულ ფრაქციათა საყურადღებოთ ვიტყვი, რომ ამის ხელმძღვანელობა აწევს განათლების სამინისტროს. ამ მხრივ ეს უდავოა. ვის ხელში იქნება ეს — განათლების სამინისტროსა თუ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელში — გარჩევა მხოლოდ იმაში არის, რომ მთავრობას ჰგონია, და მე გადაჭრით ვაცხადებ, რომ მთავრობას იმიტომ შეეშუშავებია ამ სახის კანონ-პროექტი, რომ მხოლოდ ეს მოგვცემს საშუალებას დაჩქარებით განვახორციელოთ ეს საქმე ერთ-ხელ უკვე გაკვლეულ გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში კი საქმე მეტისმეტად დაგვიანდება და ის მიზანი, რომელსაც ისახავს პარლამენტი, ამ შემთხვევაში, მიეულწეველი დარჩება.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს შალვა ქარუმიძეს.

შალვა ქარუმიძე. (დამ. ერ. დემ.) ბატონებო! ამ ხასიათის კანონ-პროექტი, რომელსაც ეხლა ვიხილავთ, ჩვენთვის განსაკუთრებული ყურადღება და მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამ ხასიათის საქმიანობამ უნდა გააძლიეროთ ამ კულტურულ მუშაობით მისკენ სიძლიერე და სახე საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიურ სიძლიერეს. ჩვენ გვესმის ისიც, რომ მეტად აჩქარებულის ტემპით უნდა ვიმუშაოდ სწორედ აი ამ დარგში. აი ამიტომ უნდა ვეფრიდოთ ყოველ იმ მოვლენას, ყოველ იმ დავიდარაბას, რომელიც აფერხებს საქმეს. ჩვენდა სამწუხაროდ, ასეთი დავიდარაბა უწყებათა შორის ეს პირველი მაგალითი არ გახლავთ. ჩვენ არ ვიცით რად მოიხსნა და ან შემდეგში როგორ გადასწყდება კანონპროექტი ყველა უწყებათა სკოლების ერთ სამინისტროს ხელში გადასვლის შესახებ. ჩვენ ვიცით, ბაგალითად, რომ განათლების კომისიის და მთავრობის აზრით, სამეურნეო სასწავლებლები უნდა დარჩენილიყვნენ მიწად მოქმედების სამინისტროს ხელში. ჩვენ ვიცით, რომ შემოვიდა ასეთი კანონ-პროექტი. შემდეგ მოიტანეს და დღემდის არ ვიცით ვის ხელშია ეს სამეურნეო სასწავლებლები, ვის ხელში უნდა იყოს და ვინ უნდა იყოს პასუხის მგებელი პარლამენტის და ქვეყნის წინაშე. ეს დამეთანხმებით მეტად ნორმალური მდგომარეობა არის.

- საქართველოს პარლამენტი. გაზ. „საქარ. რესპ." დამატება № 51.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა ნორმალური მდგომარეობა, იმავე ნიადაგზე აშენებული და გამოუცვლელი. არა ნორმალური მდგომარეობა სხვაგანაც გახლავთ, სასულიერო სასწავლებელში, მაგალითად. მე ამ ორ დღეში თელავში გახლდით და იქ სასულიერო სასწავლებელს მასწავლებელი არ ჰყავს. საკმაოა ისიც, რომ მასწავლებლებმა არ იციან, თუ საიდან უნდა მოუვიდეთ ინსტრუქცია ყოველ ნაირი საკათალიკო საბჭოდან თუ განათლების სამინისტროდან. რა შეხედულებისა უნდა ვიყვნეთ, ბატონებო, ვისკენ უნდა იყვეს ჩვენი სიმპატია შინაგან საქმეთა სამინისტროსკენ, თუ განათლების სამინისტროსკენ, — ძაინც ერთი რამ უნდა ვთქვა: ესეთი მდგომარეობა მეტად აფერხებს საქმეს, და ეს ძალიან დასაჭმები გახლავთ. ეხლა გადავდიოთ თვით საქმეზე. აქ კი გამოვთქვამ სურვილს: რაც შეიძლება მალე, ამ უწყებათა შორის დავას, რომელიც აფერხებს საქმეს, საჭიროა რომ ბოლო მოუღოთ. არ შეიძლება გაგრძელება საქმისა. ყველა საქმეს თავისი პატრონი უნდა ჰყავდეს. პრაქტიკულად ეს საკითხი მე ეხე მაქვს წარმოდგენილი. სამკითხველო წიგნთ-საცავები მთავრობამ უნდა გახსნას იქ, სადაც სკოლები არ არის. თორემ, როცა არის სკოლები, აქ, სუფველგან არსებობს ერთიც, და მეორეც. როდესაც ასეა საკითხი დასმული, რომ ამას მეტად საჭმარო. მნიშვნელობა ეძლევა, იმიტომ რომ, ხვალ, თუ მოგვიანდება წარდგომა საერთაშორისო წონის მქონე ამბებთან მაშინ, ჩვენ იქ უნდა წარვდგეთ ისე, როგორც ისეთი ხალხი, რომელიც უკვე შეუდგა ნამდვილ, კულტურულ, ევროპიულ მეშაობას. და როდესაც ესეა დასმული საკითხი, მე მგონია, დავას იმის შესახებ, თუ რომელს უნდა დარჩეს, თუმცა შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადება, ყოველივე დავას სპობს, ბოლო უნდა მოეღოს. იგივე ამბობს, რომ ნორმალურ პირობებში დაეკვემდებარება სახალხო განათლების სამინისტროს, და განხორციელდება ერობის ხელით საბოლოოთ. მაგრამ, მაშინ, როდესაც განათლების სამინისტროს პრა აქვს პარატი, რომ ამ მოკლე ხანში, ის რაც ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა, განახორციელოს, და როდესაც ჩუდამ, ჩვენი მდგომარეობა ასეთია, რომ ჩვენთან არ არიან ისეთი ნაწილები, რომელთაც სათანადო სწავლა განათლება მიუღიათ, მოგახსენებთ დღევანდელ კომისრებზე, თუმცა მე პირადად დიდ სიმპატიებით ვეპყრობი, ისე რომ მათ დამცირებაში არ ჩამომართვათ, მაგრამ მე მსურს მეტი კულტურულ ღონის, მეტი სწავლა განათლებით აღჭურვილი ხალხი იყოს. მაგრმ როდესაც ასეა საქმე ეხლა ლაპარაკი სხვანაირად არ შეიძლება. მეტ წილად ასეთნი არიან, ბევრს ალაგას არ ჰყოფს მასწავლებელი, ან კიდევ სხვა ვინმე და სადაც კომისრები არიან, მათ უნდა დავაკისროთ ეს საქმე. მაშასადამე შინაგან საქმეთა სამინისტროს დაეკალება ეს უდიდესი კულტურული საქმე. წინად საზოგადოდ ჩვენ ისე გვქონდა წარმოდგენილი, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს კულტურულ საქმეებთან. აქამდის ასე გვქონდა წარმოდგენილი. თავის თავად ცხადია, რომ ერობა იქრება შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებაში, და არა განათლების სამინისტროს უწყებაში. და ამით მე მგონია ეს ფორმალური საკითხი თავის თავად სწყდება (ხმა: ერობა უწყებათა გარეშე რჩება) ეგ არ ვიცი. ჯერ არ გამიგონია, რომ ერობა იქნება უწყებათა გარეშე. როცა მაგაზე იქნება ლაპარაკი მაშინ შეგიძლიათ გამოსთვათ თქვენი აზრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებითად ამ საკითხის შესახებ მე მოგახსენებთ ერთ რამეს. აქ იყო გამოთქმული აზრი, რომ განათლების სამინისტროს უფრო ადვილად შეუძლიან ამის განხორციელებაო. აი, როდესაც ასე გახლავთ საქმე თუ გამოუდგებით დავას და ავიღეთ ხელში მხოლოდ ის გზა, ის იარაღი, რომელიც გვაძლევს საშვალებას განვახორციელოთ ეს კანონ-პროექტი. არ არის კარგი, რომ ჩვენს წარსულიდან, გინდ იმ წარსულიდან, რომელიც გვქონდა რუსეთის ბატონობის დროს, რომ მოგონებას მივცეთ ალაგი ან ეშვები შევიტანოთ. ბატონებო, თუ ვისმეს ეშვი აქვს იმის შესახებ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელში განათლება არ არის, ის კი უეჭვოა, რომ არ არის სიყალბე. ამავე დემოკრატიულ მოსაზრებით, აქ იკადენ წინააღმდეგ აზრს და მაგალითად მოჰყავთ იმავე რუსეთის მაგალითი, ნუ დაგავიწყდებთ, რომ იმავე რუსეთში რასაც ვერ ასრულებდა სტოლიპინი მთავრობა იმას აკისრებდა განათლების სამინისტროს. თქვენ გეხსომებთ ცნობილ მინისტრის ტოლსტოის სიტყვა, როცა კლასიციზმი შემოჰქონდათ რუსეთში, მან სთქვა ის რაც ვერ გაუკეთებია პოლიციას უნდა გააკეთოს სკოლამო. ჩვენთვის არ არის სახარბიელო და არც კარგი. ჩვენი სურვილია, ერთხელ და სამუდამოდ ამოიფხვრას ის ტრადიცია, რომელიც მოდის ჩრდილოეთიდან. ჩვენ ერთნაირ ნდობით უნდა აღვეურვოთ, როგორც ერთი სამინისტრო, ისე მეორე.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს ცინცაძეს.

ნოე ცინცაძე. (ს. დ.) ისეთ სფეროში გადავიდა კამათი, რომ მართლაც ერთ ნაირი უხერხულობა არის ჩვენს წინაშე. ლაპარაკი იმაზე, რომ რომელიმე სამინისტროს უნდა მივინიჭოთ უპირატესობა, როცა ამაზე სრულიად ლაპარაკი არ არის—ასეთი ლაპარაკს აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ნამდვილად აქ არის ორი მოსაზრება.—ერთი მოსაზრება, რომელზედაც უკვე ილაპარაკეს, არის მოსაზრება ფორმალური მეორე—არსებითი.

ფორმალური მოსაზრება ასეთი იყო — ბატონი ჯაჯანაშვილი ამბობდა, რომ ძველად ბიბლიოთეკების საქმე შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელში და მის განმგებლობაში იყო. ბიბლიოთეკების და საკითხველოების მეოხებით შინაგან საქმეთა სამინისტრო ერთნაირ პოლიტიკას აწარმოებდაო. თავის თავად ცხადია. ამ შემთხვევაში თუ ჩვენ ვიფიქრებთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო აწარმოებს ერთგვარ პოლიტიკას, მაშინ ბატ. ჯაჯანაშვილი გამოიჩენდა დოგმატიკოსობას (დადინი: „არ გამოუჩენია!“) არა მე არ ვამბობ გამოიჩინა, მეთავის თავად (ცხადია, რომ ის მოსაზრება, რომელთაც ძველად ხელძღვანელობდნენ უკე ვაგდეთ და ეხლა ჩვენ სულ სხვანაირად უნდა ვიმსჯელოთ. ჩვენი სახელმწიფო თუ იარსებებს—აუცილებლად იარსებებს, როგორც დემოკრატიული სახელმწიფო. ასე რომ ამრდილი პლეგვლი და სტილიბონისა არ უნდა გვაშინებდეს. ცხადია, შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ დემოკრატიულ პოლიტიკას აწარმოებს. ისე როგორც სხვა სამინისტროც. მაშასადამე ამ მხრივ საშიში არ არის რა (დადინი: კომისარის აჩრდილი!) მაგრამ კომისრებზედაც არის აქ ლაპარაკი. საქმე იმაშია, რომ არის ისეთი ადგილები, სადაც სკოლები არ არსებობენ. რა უნდა უყოთ ბატონებო, ეხლა ან ასეთ სოფლებს? ჩვენ იძულებულნი ვართ ასეთ შემთხვევაში, ხელმძღვანელობა მივანდოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხისაგან არჩეულ კომისრებს, სანამ კრება არ შემოვა და აიღებს ამ საქმეს. ეს დროებითია.

თვითონ კანონ-პროექტი აღნიშნავს, რომ ეგ დროებით ევალება კომისარს და მგონია ამ მხრივ, არავითარ საშიშროებას არ წარმოიდგენს ეს კანონ-პროექტი.

მაშასადამე ფორმალური მოსაზრება კიდევ ერთია. ძველად, არსებული წესით, სამკითხველოები და წიგნთსაცავები შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებაში იყო. ეს წესი ჯერ ჩვენ არ გაგვიუქმებია და ამას, მე მგონია, შეიძლება არც მომავალში დავჭირდეს ამის გაუქმება.

დამეთანხმებიდ, თუ ერობები შინაგან საქმეთა სამინისტროს ექვემდებარებიან ამ შემთხვევაში ეს სამინისტროს უწყებაში შედის ერობის ხელში გადადის სკოლების საქმე. მაშასადამე, თავის თავად ცხადია რომ ერობის ხელში გადადის წიგნთსაცავ სამკითხველოების საქმეც, ამ საქმის მოწყობაც.

განათლების სასინისტროს ეხლა არა აქვს სათანადო აპარატი, რომლის მეოხებით შეუძლიან მოაწყოს ეს საქმე. შინაგან საქმეთა სამინისტროს კი აქვს ეს აპარატი. ბევრია ასეთი ადგილები, სადაც, სკოლები სრულიადაც არ არის. მაგალითად ფუშეთის და თიანეთის მაზრებში ასეთ ადგილებში სამკითხველოების გახსნა აუცილებლივ უნდა მივანდოთ ისეთ ორგანოს, რომელიც ექვემდებრება შინაგან საქმეთა სამინისტროს. აქ საკითხი ჩემის აზრით, თავის თავად სწყდება. აქ იყო კიდევ ერთი მოსაზრება. ეგ რაღაც ანალოგია მოყვანილი დედოსა და შამისა შესახებ. მაგრამ ამის შესახებ უნდა მოვახსენოთ, რომ ეს ანალოგია არაფერს ამტკიცებს. არის ისეთი ობიექტიური პირობები. როცა დედა ვერ არის წამდვილი დედა, როცა დედა სუსტია, როცა დედა ვერ იდედებს, მაშინ თავის თავად ცხადია, რომ ძიძა უნდა მიაშველოთ. მეორეს მხრივ, მე ვფიქრობ ამ ანალოგიას ადგილი არ ჰქონია. ამისთვის საფუძველი არ იყო. მაშასადამე ის მოსაზრებანი, რომელიც აქ იყო წარმოდგენილი, ერთის მხრივ არსებითი, იმითი რაც იყო აქ თქმული და იმით, რაც მე დაუმატე, მე მგონია უარყოფილი უნდა იყოს. ან უნდა უარყოთ ერობის შინაგან საქმეთა უწყებაში გადაცემა ან უნდა თქვენ უნდა დაეთანხმოდ იმ კანონ-პროექტს რომელიც ეხლა შემოტანეს.

თავმჯდომარე. წინადადება არის შემოტანილი, რომ კამათი მოისპოს. კამათი მოსპობილია და სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელს.

ლეო ნათაძე. (მომხსენებელი) კამათმა გამოარკვია, რომ უმთავრესი დებულება ჩვენ ყველას ერთ ნაირად გვესმის. თითქმის ყველანი თანახმანი ვართ, რომ ბიბლიოთეკა-სამკითხველოები უნდა გაიხსნას ეხლავე. არ უნდა დაუცადოთ იმ დროს, როცა ერობა იქნება შემოდებული, და ერობას დაექვემდებარება, ასე რომ ერობის შემწეობით პირდაპარ განათლების უწყებაში გადავიდეს.

ასე რომ ჩვენ შორის არავითარი განსხვავება არ არის. განსხვავება დგება მაშინ, როდესაც ჩვენ ვიხილავთ მიზან შეწონილობის საკითხს: ვინ უფრო უკეთ გააკეთებს ამ საქმეს — განათლების სამინისტრო თუ შინაგან საქმეთა სამინისტრო? მე როდესაც ამ საკითხს ვაყენებდი, მე მინდა თქვენ გაითვალისწინოთ, თუ რა ნაირად გატარდება რეალურად ეს საკითხი ცხოვრებაში. მე მგონია, თუ თქვენ ამას ჩაუკვირდებით, თუ თქვენ ამას გაითვალისწინებთ, დამეთანხმებით, რომ ერთად ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აპარატი, რომელსაც შეუძლიან, ეს გაატაროს—არის შინაგან საქმეთა სამინისტროს აპარატი.

რა ნაირად იქნება რეალურად გატარებული ეს კანონ-პროექტი? ჩვენი ქვეყანა დაფარული მოგვალ სკოლებით, მაგრამ ერთ კუთხეში თუ ბევრი სასწავლებლებია, მეორე კუთხეში სრულებით არ არის, მაგალითად დუშეთის და თიანეთის მაზრებში. დუშეთში სულ ექვსი ოქმედობს რაღაც ორიდე ოსასწავლებელი და მასწავლებელი გადადის ერთ სასწავლებლიდან მეორეში. მაგრამ ისეთი ისეთი კუთხები სადაც, წარმოიდგინეთ, ათი სოფლის საზოგადოებაა და სადაც არც ერთი სასწავლებელი არ არის. ჩვენი სამინისტრო პირველად აქედან ეცდება, ამა ადგილებიდან დაიწყოს გატარება ამ კანონ-პროექტისა. და აი, აქედან დაიწყებს მის გატარებას. მაშინ ნიადაგი ეცლება იმ მოსაზრებას, რომელიც ბატონმა ჯაჯანაშვილმა წამოაყენა, რომ მასწავლებელს დაეკალოთ ეს საქმეო. რომელ მასწავლებელს? რომელ სკოლას? როდესაც არც მასწავლებელი და არც სკოლა არ არის. ჩვენ რომ ეს დაგისახოთ პრინციპიალურ საკითხად, ეს იმას ნიშნავს, რომ იქ, სადაც მასწავლებელი არ არის ეს საქმე არ გატარდება, ეს ასე არ უნდა მოხდეს. ეს უნდა გაატაროს იმ ორგანომ, რომელიც არსებობს სოფლად, და რომელსაც ეს შეუძლიან. პირველად უნდა დავიწყოთ ამ ბიბლიოთეკების და სამკითხველოების დაარსება იმ საზოგადოებებში, რომლებითაც არ არიან მასწავლებლები არის მხოლოდ ერთად-ერთი ორგანო, რომელსაც შეუძლიან გატარება—ეს არის კომისრები. შეიძლება ეს კომისრები თქვენ არ გიყვარდეთ, და მოგწონდეთ., როგორც ბ. ქარუმიძემ სთქვა, არ მომწონსო; მართალია, ბევრნი არიან ისეთი კომისრები რომელნიც ჩვენ არ მოგვწონს, მაგრამ, თუ თქვენ ნამდვილად, და გულწრფელად გინდათ გატარება ამ საქმისა, და თქვენ ამბობთ, რომ ეს უნდა გატარდეს ეხლავე, დაუყონებლივ,—მაშინ თქვენ უნდა დაგვეხმაროთ, რომ ეს კანონ-პროექტი გატარებულ იქმნეს ცხოვრებაში.

ბ. ჯაჯანაშვილმა ბრძანა, რომ თქვენ ვსურთ მასწავლებლებს ხელიდან გამოვგლეჯოთ ეს მოვალეობაო. ეს არ არის მართალი მე 3, მუხლში ნათქვამია; (კითხულობს) სოფლის სკოლებთან დაარსებულ წიგნთ საკვ სამკითხველოების გამგებლობა დროებით დაეკისროს სკოლების ზედამხედველებს, ხოლო სოფლის სამმართველოებთან—კომისრებს, აქედან თქვენ ხედავთ, რომ იქ, სადაც ზედამხედველი არ არის-სამართლიანია რომ სკოლების გამგეობა დაეკისროს სოფლის კომისრებს. სამართლიანია რომ ამ ბიბლიოთეკა—სამკითხველოს გახსნაც დაეკისროთ მათ. კითხვა აქ გარკვევით და აშკარად სდგას. ამის შესახებ არავითარი კამათი არ შეიძლება, ამიტომ საქმის გაგრძელება ზედმეტია. ბატ. ქარუმიძემ სთქვა, რომ ყველა ამის თანახმა არის და საქმის გადადება არ შეიძლება თუ თქვენ ეს არ გინდად და გადადებაზე მიდგება საქმე მაშინ სულ ცოტა 6—7 თვე იქნება საჭირო რომ წვრილი საერობო ერთეული მოგვაგვაროთ. თუ ამას არ ინებებთ ჩვენ ეხლავე უნდა დავაკისროთ სოფლის კომისრებს და სხვას არავის.

აქ ამბობენ, შინაგან საქმეთა სამინისტროს აუარებელი საქმე აქვს. და ვერ გამოუდგება ამასო, ვთქვათ აუარებელი საქმე აქვს. ვთქვათ გაუჭირდება. გვაქვსის კი ეთი ორგანო, რომელსაც შეუძლიან ამის განხორციელება? თუ მიჩვენებთ ისეთი ორგანოს, რომელსაც შეეძლება ამ კანონპროექტის განხორციელება გარდა შინაგან საქმეთა სამინისტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსი მაშინ მე მომხრე ვიქნები, რომ ის ორგანო გაუძღვეს ამ საქმეს. თუ განათლების სამინისტროს აქვს ისეთი ორგანო რომელსაც შეეძლება გაატაროს ეს კანონ-პროექტი, მაშინ რასაკვირველია დავაკისრებთ განათლების სამინისტროს. მაინც და მაინც თუნდაც საქმე დაკისროთ შინაგან საქმეთა სამინისტროს, როგორც მე პირველად მოგახსენეთ, საშიში აქ არაფერი არ არის. სრულიად არ არის საშიში რომ ეს საქმე მარტოკა შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაატაროს აქ ხომ ისე არ ვაყენებთ საკითხს, რომ ბიბლიოთეკა სამკითხველოები კომისრების ხელში უნდა იყოს. ბიბლიოთეკები და სამკითხველოების დაარსება უნდა დავავალოთ კომისრებს და ამ კომისრებმა უნდა გადასცენ სკოლის ზედამხედველს. თუ სკოლა არ დაარსდა და არ იქნება დაარსებული ვინმე ერობა შემოვა, მაშინ ეს სამკითხველოები გადაეცემა პირდაპირ სკოლის ზედამხედველების მაგივრ ამ საერობო წვრილ ერთეულებს, საერთოდ იმ თვითმართველობს, იმ ორგანოებს, რომელთა პირდაპირი მოვალეობა არის ამ საქმის გაკარება ამ საქმის გაძღოლა.

მაშასადამე, აქ უწყებას შორის დავა არ უნდა იყოს. ჩვენს უწყებათა და სამინისტროთა შორის დავას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ჩვენ გვაქვს ერთი კაბინეთი, ერთი ნების მქონე ორგანო. ამ ჩვენმა კაბინეთმა ისე გადასწყიტა, რომ ყველაზე უფრო მოხერხებულია, რომ ეს საქმე დაეკისროს შინაგან საქმეთა სამინისტროს და არა განათლების სამინისტროს, რადგან განათლების სამინისტრო ამას ვერ გაატარებს პრაქტიულად და ფაქტიურად ქალაქზე დარჩება. ამ სახით ჩვენ კანონ-პროექტის მიღება სირცხვილი ჩაგდებს განათლების სამინისტროს. იგი მას ცხოვრებაში ვერ გაატარებს, მე მგონია, რომ უფრო მალე გატარდება კანონ-პროექტი, თუ გადავცემთ შინაგან საქმეთა სამინისტროს.

თავმჯდომარე. ვინ ანის წინაღმდეგი მუხლობრივი განხილვაზე. არავინ. გთხოვთ წაიკითხოთ 1 მუხლი.

მომხსენებელი კითხულობს 1 მუხს დაარსებულ იქნეს რესპუბლიკის ყველა სოფლის სკოლებთან წინგთ საცავ სამკითხველოები.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა: გნებავთ თუ არა ბ. დადიანო! არა. გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი.

მომხსენებელი. (კითხულობს მეორე მუხლს) იმ სოფლებში სადაც სკოლები ჯერ კიდევ არ არსებობს, წიგნთ საცავ-სამკითხველოები გახსნილ იქნას სოფლის სამმართველოებთან.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? პარლამენტის წევრი წერეთელი.

ირ. წერეთელი. აქ სარედაქციო შესწორება არის საჭირო, იმიტომ რომ აქ ნათქვამია: „იმ სოფლებში, სადაც არის სამმართველოები". ყოველს სოფელში ხომ არ არსებობს სამმართველოების მაგივრად უნდა დავწეროთ — „სოფლის საზოგადოებებში". წერილობით შემოვიტანოთ?

თავმჯდომარე. აქ არის წინადადება სოფლის საზოგადოება... ვის გსურს ამის შესახებ სიტყვა? სიტყვა არავის სურს. მომხსენებელი.

მომხსენებელი. მე მგონია, რომ სულ ერთია სოფელი თუ სოფლის საზოგადოება, თუ სოფლის საზოგადოების სამმართველო თუ სოფლის სამმართველო არ არსებობს, მაშინ არც სკოლა გაიხსნება. არსებობს და იქ არ არის სკოლა, მაშინ იქ სკოლა უნდა გაიხსნას. აქ არავითარი განსხვავება არ არის. არსებითად

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზრის განსხვავება არ არის. მაინც და მაინც მე ასეთ შესწორებას წინააღმდეგი არ ვარ.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი, რომ ასეთი შესწორება შევიტანოთ? (კენჭის ყრა). შესწორება მიღებულია, ვის გსურს სიტყვა ამ მუხლის შესახებ? მუხლი მიღებულია. შემდეგი.

მომხსენებელი. (კითხულობს) დღიდან საერობო თვითმართველობის შემოღებისა წიგნთან?ცავ სამკითხველოები გადაეცეს საერობო დაწესებულებებს და ამ უკანასკნელთ დაეკისროს მათი პატრონობა.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა მეორე მუხლის შესახებ? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია. შემდეგი მუხლი.

მომხსენებელი. (კითხულობს) მე-5 მუხლი. დაბეჭდოთ უფასოდ ყველა სახალხო წიგნთსაცავ სამკითხველოებს გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ თითო ცალი ერთი წლის ვადით დღიდან სამკითხველოს გახსნისა.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიტებულია. შემდეგი მუხლი.

მომხსენებელი. (კითხულობს) მე-4 მუხლი. ამ მიზნით გადადებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან ერთდროულად (100.000 მ.) ასი ათასი მანეთი. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში.

თავმჯდომარე. ამ მეექვსე მუხლის შესახებ შესწორება გახლავთ შემოტანილი. სიტყვა ეკუთნის არჩილ ჯაჯანაშვილს.

არ. ჯაჯანაშვილი- (ს. ფ.) მიუხედავად იმისა, რომ თითქმის გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს ეს საკითხი, მე მაინც საჭიროდ მიმაჩნია შემდეგი შესწორება შევიტანოთ ამ მუხლში. საჭიროდ მიმაჩნია არა იმიტომ, რომ აქ ნდობის, ან არა ნდობის საკითხი იყოს დასმული, როგორც ერთ ფრაქციის წევრს ჰგონია. ჩვენ ამისთანა ნდობის საკითხის დასმა საჭიროდ არ მიგვაჩნია მით უფრო ისეთ ფრაქციის წარმომადგენლისაგან, რომელიც ყოველ დღე უნდობლობას უცხადებს ჩვენს მთავრობას.

მეორე მუხლის შესახებ ჩვენი წინადადებაა—შევცვალოთ შემდეგ ნაირად (კითხულობს).

„ამ მიზნით გადადებულ იქნას სახელმწიფოს ხაზინიდან ერთდროულად (100.000 მ.) ასი ათასი მან. განათლების სამინისტროს განკარგულებაში. გ. ყეშაველი. ადგილიდან ესე იგი ფედერალისტთა პარტიას!)

ლ. ნათაძე. იმ შესწორებით, რომელიც შემოიტანა ბ. ჯაჯანაშვილმა. მას ჰსურს კონტრაბანტით გაატაროს, ის რის შესახებაც კამათი გვქონდა. ამ კამათმა საბოლოოდ გამოარკვია ის აზრი, რომ უფრო მოხერხებულია, რომ შინაგან საქმეთა მინისტრს გადაეცეს თანხა (გ. ვეშაპელი. ე. ი. სოციალ-დემოკრატიულ პარტიას!) განათლების სამინისტროს რომ გადავცეთ ეს თანხა მაშინ შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში მყოფ კომისრებმა იმის მაგიერ რომ პირდაპირ მისწერონ შინაგან საქმეთა სამინისტროს, მათ მიუხდებათ ობრაზცების გზას მიმართონ. ამით სხვა არ იყოს რა მარტო ქაღალდის წარმოება სამად გაიზდება. და დამეთანხმებით, რომ ეს შინაგან საქმეთა სამინისტროს უნდა გადაეცეს. ამაში უნდა დამეთანხმოთ. თანხა უნდა გადაეცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

თავმჯდომარე. ვინ არის მოქმედ ამ შესწორებისა, რომელიც შემოიტანა ბ. ჯაჯანაშვილმა (ხმა: გთხოვთ დაითვალოთ)· დიდი სია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვენებით: მომხრეა 20. წინააღმდეგი—35. მაშასადამე შესწორება უარ-ყოფილია. ვინ არის წინააღმდეგი მეექვსე მუხლისა? მეექვსე მუხლი მიღებულია: შემდეგი.

მომხსენებელი. კითხულობს მე-7-ე მუხლს. ამ კანონის განხორციელება დაეკისროს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახალხო განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? პარლამენტის წევრი ჯაჯანა: შვილი.

არჩ. ჯაჯანაშვილი. (ს. ფ.) წინადადება შემომაქვს, რომ ამ მუხლში შევიტანეთ შემდეგი შესწორებას (კითხულობს).

ამ კანონის განხორციელება დაეკისროს სახალხო განათლების სამინისტროს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

ლეო ნათაძე. რაკი მეექვსე მუხლი მიღებულ-ია, ამ ნაირი შესწორებაც უარყოფილი უნდა იქმნეს. ამ ნაირად თანხა უნდა იყოს ერთ სამინისტროს ხელში. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს არევ-დარევას შეიტანდა და ქაოსადის წარმოებასაც გაზრდის. ამიტომ, მე მგონია, რომ თანხა უნდა დარჩეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელში, როგორც აქ არის ნათქვამი.

თავმჯდომარე. მე კენჭს უყრი შესწორებას. ვინ არის მომხრე შესწორებისა? შესწორება უარყოფილია. ვინ არის მომხრე მეშვიდე მუხლისა იმ სახით, რ გორც წარმოდგენილია კომისიის მიერ. მე-7 მუხლი მიღებულია.

შემდეგი მუხლი.

მომხსენებელი. კითხულობს მე 8, მუხლს ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მიიებისა საქართველოს პარლამენტის მიერ.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი ამ მუხლისა? არავინ. მე 8, მუხლი მიღებულია. ახლა მთლად კანონ-პროექტს უყრის კენჭს. ვინ არის წინააღმდეგი? კანონ-პროექტი მიღებული გახლავთ და გადაეცემა სარედაქციო კომისიას.

უკვე სამი საათი გახლავთ. ინებებთ თუ არა, რომ დანარჩენი საკითხებიც განიხილოთ? რეგლამენტის ძალით, ეს შეიძლება შემდეგ კრებისთვის გადავდოთ. ვინ არის მომხრე, რომ გადავდოთ კრება მარტო ორ კანონ-პროექტისთვის, რომელზედაც მოგახსენებთ ბ. ლორთქიფანიძე. კრება გრძელდება. სიტყვა ეკუთვნის ბ. ლორთქიფანიძეს

იასონ ლორთქიფანიძე, ბატონებო დღიურ წესრიგში არის ორი საკითხი, რომელსაც აქვს დადი საფინანსო მნიშვნელობა. ყოველ დღე, რომლითაც ჩვენ გავაჩერებთ ამ საკითხს, მოგვცემს ჩვენ ზარალს და უხერხულობას, ამიტომ გთხოვთ ეს ორი საკითხი, ერთი რკინის გზის მარგალეცის გადაზიდვის შესახებ და მეორე ახალი სახაზინო ბილეთების გამოცემის შესახებ. გთხოვთ ეს ორი საკითხი განიხილოთ დღესვე.

კანონ-პროექტი შავი ქვის გადასაზიდ ტარიფის გადიდებისა.

იასონ ლორთქიფანიძე. პირველი კანონ-პროექტი, ბატონებო, შავი ქვის გადასახადის გადიდების შესახებ, ძალიან მოკლე გახლავთ და ყველასათვის გასაგები. აქამდის ფოთში ჰრიათურიდან გადაზიდვაში მარგალეცის მრეწველები იხდიდნენ 19—26 კაპ. ფუთში, ეხლა სიძვირის გამო, გზათა მინისტრმა წარმოადგინა კანონ-პროექტი, რომლითაც ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადასახადი მამოანგარიშებული და გადიდებული 38, 34 კაპ. ფუთში. მე მგონია ეს კანონ-პროექტი იმდენად გასასგებია, რომ ამაზე ლაპარაკი არ დაგვჭირდება.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა ამ კანონპროექტის შესახებ. ბატონი ნიკო ნიკოლაძე.

ნიკო ნიკოლაძე. (ერ. დემ.) ბატონებო, გუშინ თქვენ გადაეცით საფინანსო კომისიას მოსახსენებლად ოთხი საკითხი.

შესახებ იმ ხელშეკრულებებისა, რომელიც მთავრობის წარმოუდგენეთ: ხელშეკრულებები შეეხება მარგანეცისა, რკინის გზის, ფოთის ნავთ-სადგურს და სესხს, ამ ორ საკითხს, რომელიც დღეს არის დანიშნული განსახილველად, ძალიან დიდი კავშირი აქვს იმ ოთხ ხელშეკრულებასთან. ყოველად შეუძლებელია ეს ორი საკითხი განიხილოთ და გადასწყვიტოთ ამ საქმის გარეშე. თქვენ ამის საბუთად მოგართმევთ-იმას რომ ფასი, რომელსაც დაადებთ თქვენ მარგანეცის გადახდიდის გადასახადულოთ, ეს ფასი იქნება რამდენიმე დღის განმავლობაში, სანამ დაიწყებს მოქმედებას ხელშეკრულობა მარგანეცის, და რკინის-გზის დაქირავების შესახებ. როცა დაიწყებს მოქმედებას ის ხელშეკრულობა, რომელიც ჩვენ ბერლინში მოგახდინეთ, მაშინ ფასს ისინი დასდებენ ვისაც ეკუთვნის ეს მარგანეცი, ფას გადაიდებს ის საზოგადოება ამ ფას გადიდეს იმდენად, რამდენადაც მოინდომებს მაშასადამე, თქვენგან დაწესებული ტარიფი იქნება სისრულეში მოყვანილი, მხოლოდ, რამდენიმე დღის განმავლობაში.

შინაური ვალის აღება, რომელიც უნდა გადაწყდეს დღეს თქვენ შიერ, დამოკიდებული არის სესხის შესახებ დადებულ ხელშეკრულებაზე. შესაძლებელი არის, რომ საფინანსო კომისია, როცა განიხილავს გუშინ გადაცემულ საკითხებს, სულ სხვა აზრს დაადგეს. ეს საკითხები რომელიც დღეს წარმოდგენილია თქვენს წინაშე საფინანსო კომისიის მიერ დადგენილნი იყვნენ მაშინ,, როცა არ ჰქონდა მხედველობაში მიღებული ის მოხსენებანი, რომელიც უნდა წარმოგიდგინოთ ჩვენ მიერ ბერლინში დადებულ ხელშეკრულებებზე. ამის გამოისობით, მე მგონია, რომ ეს საკითხი, ეს ორი საკითხი დღეს დანიშნული განსახილავად, უნდა გადადებულ იქმნეს სანამ წარმოადგენს საფინ. მოხსენებას იგივე საბიუჯეტო და საფინანსო კომისია. ეს იქნება ეკონომიურად უმჯობესი და სამართლიანი. მე გთხოვთ, რომ ეს ორი საკმე ერთად განიხილოს ხელახლა საფინანსო კომისიამ და შემდეგ წარმოგიდგინოს ეს კანონ-პროექტი.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა ამის შესახებ? ბატონ ლორკიფანიძეს.

გზათა მინისტრი ივანე ლორთქიფანიძე. ბატონებო, ამ საკითხის მოკლე ისტორია შემდეგია. ეს საკითხი შემოტანილი იყო აქ სამინისტროს მიერ მაშინ, როცა ჩვენ არაფერი არ ვიცოდით ამ ხელ შეკრულობის შესახებ, რომელიც ჩვენმა წარმომადგენლებმა დასდეს ბერლინში. მაგრამ ეს საერთო სენია ჩვენი კომისიებისა. ზოგიერთი საკითხი აქ რამდენიმე თვე სდგეს და მხოლოდ ეხლა შემოდის პარლამენტში განსახილველად. ეხლა მართალია ამ მხრივ სიტუაცია გამოცვლილია მაგ-

---

საქართველოს პარლამენტი. გაზ. „საქარ. რესპ." დამატება № 51.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ მთავრობა და კერძოდ მეც ვფიქრობ, რომ შეუძლებელია ეს კანონ-პროექტი დღეს არ იყოს მიღებული პარლამენტის მიერ.

ჯერჯერობით გამოურკვეული არის საბოლოოდ თუ რა ტარიფები იქნება მარგანეცზე იმის შემდეგ, რაც დაწესდება ეს ორი სამი საზოგადოება. რადგანაც ტარიფი, რომელიც ეხლა არსებობს, სრულიად არ შეეფერება იმ ხარჯებს, რომელსაც სწევს რკინის გზა, როგორც ჭიათურიდან ისე თვით ზესტაფონიდან ფოთამდის,—ჩვენ ვფიქრობთ ეს ტარიფი დღეს უნდა გადიდდეს და თუ შესაძლებელია, და მერე მოხდა შეთანხმება იმ საზოგადოებებთან,—ჩვენ სხვა ტარიფს დავაწესებთ. ეს სხვა საკითხია. ეხლა ხანში კი უსათუოდ ეს ტარიფი უნდა გავადიდოთ. ამის გარდა ფინანსთა მინისტრი ფიქრობს, რომ არამც თუ იმ მარგანეცზე, რომელიც ეხლა გაავლს გერმანიას ჭიათურიდან და მის მიდამოებიდან, არამედ იმ მარგანეცზედაც, რომელიც ამ ორი თვის განმავლობაში გატანილია ფოთამდის, რაც გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, იმასაც შეიძლება დაედვას განსაკუთრებული გადასახადი. ამაზე მოგახსენებთ დაწვრილებით თვით ბ. მინისტრი.

ეს ტარიფები, რომელიც წარმოადგინა ჩვენმა სამინისტრომ და დამტკიცებულია საფინანსო—სანიუჯეტო კომისიის მიერ, პარლამენტის მიერ უთუოდ უნდა მიღებულ იქმნეს.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის ფინანსთა მინისტრს.

ფინანსთა მინისტრი გიორგი ჟურული. ბატონებო, მე უნდა მოგეხსენებინა იმ წინადადების შესახებ, რომელიც შემოტანა ბატ. ნიკო ნიკოლაძემ. თუმცა მეორე კითხვა, სახელმწიფო ხაზინის მოკლე ვადიან ქაღალდების გამოცემა, დაკავშირებულია აქ საემისიო ბანკის განყოფილებებზე, რომელსაც ვაპირებთ გავხსნათ, მაგრამ მოვითხოვდი, რომ ეს კითხვა არ ყოფილიყოს გადადებული დღეს. რადგან, რა ბედიც უნდა მოელოდეს ამ ბანკს, რომელსაც ვაარსებთ,—რასაკვირველია ჩვენ ამ მოკლე ხანში, იგი უნდა დავაარსოთ, ის ხელშეკრულება სესხის, გამო რომელიც ბერლინში ფიქრობდა ამის ღონისძიებას უკვე გვაძლევს. მე ყოველ შემთხვევაში ვითხოვდი ეს საკითხი, რომელიც არის დაყენებული, რომ ეს დღე არ იყოს გადადებული ვინაიდან შეიძლება ჩვენ გვქონდეს ეს ბანკი შეიძლება არ გვქონდეს, მაგრამ ჩვენთვის მოკლე ვადიან ქაღალდების გამოცემა საჭიროებულ სხვა ფინანსურ კომბინაციებისთვის ვიდრე არის ბანკის დაფუძნება. როგოც გუშინ ნიკო ნიკოლაძემ გაგვიზიარა. ჩვენ გვინდა ამ მოკლე ვადიან ქაღალდის გამოცემით ერთგვარი წყარო აგი მოუჩინეთ ჩვენს სახელმწიფო ხაზინას. რომ გავისტუმროთ ის ზედ მეტი ხარჯები, უფრო სათანადო�d უფრო სწორის გზის, ვიდრე აქამდის ეს ხდება, ვიდრე იყო ის გზა რომ საემისიო ფაბრიკაში იბეჭდებოდა ჩვენი ფული. ესე იგი ან ბოლო უნდა მოელოს ან უნდა გაუმჯობესდეს ეს მდგომარეობა რადგანაც ეს კითხვა დაკავშირებული არ არის ბანკთან, ამიტომ მე მოვითხოვ დღეს იგი არ ყოფილიყვეს მოხსნილი.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს კირილე ნინიძეს.

კირილე ნინიძე. (ს. დ.) ჩვენი ფრაქცია ფიქრობს, რომ ამ კანონ-პროექტის განხილვა შესაძლებელია დღეს, რადგანაც არცერთი კანონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ არის მუდმივი. დღეს დღეგობით ამ კანონს არ ეღობება არავითარი დაბრკოლება.

როცა ძალაში შევა ის ხელშეკრულება, რომელიც დადებულია ჩვენ წარმომადგენლების მიერ ბერლინში მაშინ შესაძლებელია დაისვას საკითხი ამ კანონთან შეთანხმების შესახებ. მაგრამ დღეს-დღეგობით ეს მიზეზი არ არის.

ამიტომ ჩვენ მხარს უჭერთ, რომ ეს საკითხი განხილული იყოს დღესვე.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის ბ. ნიკოლაძეს.

ნიკო ნიკოლაძეს. (ერ. დემ.) ბატონებო, ჩვენი თხოვნა მარტო ის გახლავთ, რომ საფინანსო კომისიამ ეს თავისი ორი მოხსენება, რომელიც დღეს თქვენ წარმოგიდგინათ, ერთხელ კიდევ გადითვალიეროს და სამშაბათს შემდეგ სხდომისათვის თქვენ მოგართვათ ახალი მოხსენება. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ფინანსიური მდგომარეობა და ჩვენი გზის საქმე ისეთ გასაჭირში არ არის, რომ სამი-ოთხი დღით ერთი საკითხის გადაწყვეტის გადადება არ შეიძლებოდეს. ძალიან საჭირო საქმეთა არის იმიტომ კი არა რომ ეწინააღმდეგება ამ დებულებას სწორედ იმისთვის რომ შეიძლება, როცა საფინანსო კომისია განიხილავს ამ საკითხს, ერთად წარმოგიდგინათ თქვენ, ეს უკეთესია და ადვილიც არის კომისიისთვის. თუ შესაძლებელი არის, მე ვითხოვ ეს საკითხი საფინანსო კომისიამ ერთხელ კიდევ განიხილოს, ხვალ იქნება მისი სხდომა, ორშაბათს თუ სამშაბათს საფინანსო კომისიას დაეკისროს ახალი მოხსენება ამ ორ საკითხის აგმო, რომელიც თქვენ უნდა გასინჯოთ დღეს. ბერლინში დადებულ ხელშეკრულებებზე მოხსენება გადაცემა საფინანსო კომისიას და მე ვითხოვ, რომ ეს საკითხი, რომელიც დღეს თქვენ წინაშე სდგას, ერთხელ კიდევ გადადებულ იქნეს ამ საქმესთან ერთად.

თავმჯდომარე. კამათი შეწყვეტილი გახლავთ. სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელს.

იას. ლორთქიფანელიძე. ბატონებო, არავითარი დიდი საფუძველი არ არის იმისთვის, რომ გადავდოთ ეს კითხვა. თუ კი ხელშეკრულება არ შეეთანხმება ჩვენს კანონებს, რასაკვირველია ეს კანონები გაუქმებულნი იქნებიან და ამით ხელშეკრულების განხორციელებას არავითარი წინაღმდეგობა არ ექნება არსებითად.

როგორც მოგეხსენებათ ეხლა გვაქვს მარგანეცი ძალიან ბევრი ჭიათურაში და თვით ფოთშიც ძალიან ბევრია დაგროვილი.

ფინანსთა მინისტრი და გზათა მინისტრი ფიქრობენ რომ ყველა ამ მარგანეცს დაადონ ის გადასახადი, რომელიც განზრახულია ამ კანონ-პროექტით. და რომელთაგანაც აქამდისინ არავითარი გადასახადი არ არის აღებული.

ამიტომ მე ვფიქრობ ამ კანონ-პროექტის გადადება მარტო იმიტომ, რომ იმას აქვს რაღაც კავშირი უცხო ქვეყნების ხელშეკრულებებთან, არ იქნება მიზან შეწონილი. მე მგონია ეს საფუძველი არ არის იმოდენად დიდი, რომ საქმე გადიდოს.

თავმჯდომარე. შემოტანილი წინადადება, რომ ეს საკითხი გადიდოს. დაუბრუნდეს საფინანსო კომისას. მან ერთხელ კიდევ განიხილოს და შემდეგ კრებაზე წარმოადგინოს.

გ. ვეშაპელი (ადგილ.) ჯერ არსებითად კამათი არ დამთავრებულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმჯდომარე. არსებითი კამათი იყო.

გ. ვეშაპელი. ეს იყო კამათი საკითხის მიმართულების შესახებ.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგ მუხლობრივ განხილვისა? არვინ, გთხოვთ წაიკითხოთ პირველი მუხლი.

მომხსენებელი (კითხულობს 1 მუხლს) შავი ქვის ჭიათურიდან ფოთამდე არსებული გადასაზიდი ფუთზე, დადებული იქნას 38. 34 კაპეიკით და დაწესებულ იქნას 19.26 მაგიერ 57,6 კაპეიკი.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა ამ მუხლის შესახებ? ბ. ასათიანი

ალ ასათიანი (ერ. დ.) მე ვფიქრობ რომ ის ცოტაოდენი უხერხულობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, რომელიც არსებობს ამ საკითხში შეიძლება ამ უხერხულობას ავცდეთ. თუ კი ცოტაოდენ შესწორებას შევიტანთ ამ პირველ მუხლში. აქ არის ნათქვამი, რომ (კითხულობს) ჭიათურიადან ფოთამდე შავი ქვის არსებული გადასაზიდი ტარიფი ფუთზე გადიდებული იქნას 38.34 კაპ. და დაწესებულ იქნას 19·26 მაგიერ 57.6 კაპ. მე წინადადებას ვიძლევი, რომ აქ იყოს შეტანილი შემდეგი შესწორება პირველ მუხლში (კითხულობს) სანამ საერთოდ საქართველოს რკინის გზებზე საქონელის გადასაზიდი ტარიფი გადადებიდეს, შავი ქვის ჭიათურიდან ფოთამდე არსებული გადასაზიდი ტარიფი გადიდებულ იქნას 38.34 კაპ. და სხვა...

ეს საჭირო იქნება ჩემის აზრით, იმიტომ რომ მთელი უხერხულობა მდგომარეობისა იმ გარემოებაში, რომ ჩვენ მარტო ჭიათურის შავი ქვის ტარიფს ვადიდებთ. მე ვიცი, რომ გზათა უწყებაში განხრახულია გადიდება ტარიფისა საერთოდ ნედლ მასალაზე და არა მარტო შავ ქვაზე. თუ ეს განხრახვა გზათა უწყებაში არსებობს უხერხულობა მაშინ მოისპობა, როცა შემოღებული იქნება, არა მარტო შავი ქვის გადიდებად არამედ საერთოდ ტარიფის გადიდება ნედლ მასალაზე. და არაეთარი წინააღმდეგობა არ იქნება იმ ხელშეკრულობასთან, ჩვენ გვინდა შეტანილი იმქნეს შემდეგი სტრიქონები, სანამ საერთოდ საქონელის გადასაზიდავი ტარიფი შემუშავდებოდეს ეს ჭიათურის შავი ქვის ტარიფი გადიდდეს (მერე ისე როგორც კანონ-პროექტშია).

თავმჯდომარე. გზათა მინისტრი.

გზათა მინისტრი **ივ. ლორთქიფანიძე.** მე შესწორება ბ. ასათიანისა ვერ გავიგე. საქმე იმაშია, რომ ჩვენზე უფრო ადრე, ჯერ ისევ ამიერ-კავკასიის დროს, როდესაც ამ უწყებაში მელიქ ასლანოვი იყო, ჩვენს რკინის გზაზე ტარიფის გადიდება უკვე მოხდა, როგორც სამოგზავრო ისე საბარგო მატერიებელზე.

ეი სწორედ, რადგან ჭიათურის შავი ქვის ტარიფი მეტად მცირე იყო, ამიტომ ჩვენმა საბინისტრომ შემოიტანა დამატებითი კანონ-პროექტი ამ ტარიფის გადიდების შესახებ. ეს გადიდება მოხდა. კომისიის განსაკუთრებულ საგანგებო სხდომაზე ერთხმად მიღებულ იქნა ეს კანონ-პროექტი ტარიფის მომატების შესახებ.

ჩვენ საერთოდ ვფიქრობთ, რომ როცა ტარიფზე გვექნება ლაპარაკი ტარიფი მიმატება. ეს მოგვეხდება. შეიძლება ზოგიერთ საგანზე ავსწიოთ ეს ტარიფი, ხოლო ზოგიერთ საგანზე შესაძლებელია ნაწილობრივ დავწიოთ.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის ნიკო ნიკოლაძეს.

ნიკო ნიკოლაძე. (ერ. დე.) ბატონებო, ეს მუხლი უნდა შეიცვალოს ბერლინში მიღებულ ხელშეკრულობის გამოისობით. იმიტომ, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვით რკინის გზა გაყოფილია ორ ნაწილად. ამ ხელშეკრულების ძალით რკინის გზის ერთი უმთავრესი ნაწილი შორაპნიდან ფოთამდის რჩება ჩვენს ექსპლოატაციაში. ხოლო ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა შორაპნიდან ქუთაურამდის და საჩხერემდის გადადის კერძო საზოგადოების ხელში, ვაქირავეთ კერძო საზოგადოებას. მაშასადამე ორად უნდა განაწილდეს ტარიფი,— დარკვევთადან შორაპნამდის, შორაპნიდან ფოთამდე. ჩვენ შეგვიძლიან, სურვილიც გვაქვს, ისეთი ტარიფი დავაწესოთ იმ რკინის გზაზე, რომელიც რჩება ჩვენს ექსპლოატაციაში. რაც შეეხება იმ გზას, რომელსაც ვაქირავებთ სხვას, ამაზე ტარიფის დადების უფლება არ გვექნება. ეს ტარიფი იმ საზოგადოების ხელში იქნება. შეიძლება თვითონ იაფად გაზიდოს საქონელი, შეიძლება ძვირად. მაშასადამე ეს საქართველოს საქმე არ არის, თქვენ არ გაქვთ უფლება ვიწრო ლიანდაგიან რკინის გზაზე დაადგად ტარიფი. ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა თქვენს ხელთ არ იქნება. თქვენ შეგიძლიანთ დაადვინ ტარიფი მარტო თქვენს საკუთარ რკინის გზაზე. რომელიც თქვენს ხელში დარჩება და არა იმაზე, რომელიც თქვენ გადაეცით სხვას.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთნის მომხსენებელს.

იას. ლორთქიბანიძე, (მომხსენებელი) ბატონებო, ამ მუხლის შესახებ ორი წინადადება იყო შემოტანილი. ერთი ბ. ასათიანისა, მეორე ბ. ნიკოლოძისა.

ბ. ასათიანის ცვლილება, ან შესწორება ეხება იმას, რომ იყოს დაწერილი ამ მუხლის თავში: სანამ საერთოდ საქართველოს რკინის გზებზე საქონელის გადასახადი ტარიფი გადიდდებოდეს, შავი ქვის ქიათურიადან ფოთამდი გადასახადი ტარიფი გადიდებულ იქმნეს 38,34 კაპ. როგორც გამოაცხადა ეხლა გზათა მინისტრმა, შესაძლებელია რომ არ გაადიდონ გადასახადი, არამედ დაალონ.

ასე რომ, შეუძლებელია შევიტანოთ ამ გვარი სათუობა კანონპროექტში, მით უმეტეს, რომ როდესაც საერთო ტარიფი გაირჩევა შესაძლებელი არის ქიათურის ვიწრო ლიანდაგის ტარიფი ან გადიდდეს ან დაკლებულ იქნეს. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ეს შესწორება არ არის ისეთი არსებითი, რომ საჭირო იყოს იმის შეტანა კანონ-პროექტში.

რაც შეეხება ბ. ნიკოლოძის შესწორებას, ჩვენ სულ იმას ვამბობთ, რომ ჯერ ეს რკინის გზა არარის გადაცემული და ჩვენ უფლება გვაქვს, როგორც ვიწრო ლიანდაგზე, ისე დიდ რკინის გზაზე ტარიფების შეცვლისა. როდესაც ეს საზოგადოება მიიღებს რასაკვირველია ამ ვიწრო ლიანდაგზე, ტარიფი უნდა შეიცვალოს, ეხლა კი, დღეს-დღეობით, ეს რედაქცია მიუღებელია.

თავმჯდომარე. როგორც მე გავიგე, თქვენი შესწორება გახლავს ასეთი: (კითხულობს) სანამ საერთოდ საქართველოს რკინის გზებზე საქონელის გადასახადი ტარიფი გადიდდებოდეს შავიქვის ქიათურიდან ფოთამდინ გადასახადი ტარიფი გადიდებულ იქნეს და სხვა.

ვინ არის მომხრე, რომ ეს შესწორება ბ. ასათიანისა მიღებული იყოს! ვინ არის წინააღმდეგ? შესწორება უარ ყოფილია. მეორე შესწორება გახლავთ, შესწორება ბ. ნიკო ნიკოლოძისა. როგორც მე გავიგე მოითხოვს, რომ ეს კანონი შეეხებოდეს შორაპნის და ფოთის გზას და არა იმ ვიწრო ლიანდაგის გზას, რომელიც არის ქიათურაში. ვინ არის მომხრე, რომ ეს შესწორება მიღებული იყოს? გთხოვთ ასწოოთ ხელი.

ეროვნული

ვინ არის წინადადებაში? მაშასადამე, ეს ორივე წინადადება უარყოფითია. არის. გთხოვთ წაიკითხოთ მეორე მუხლი.

ლორქიფანიძე, მომხსენებელი: მეორე მუხლი (კითხულობს) 2. ეს ტარიფი დაწესებული იქნეს შავ ქვაზე განურჩევლად იმისა, რომელ სადგურიდანაც უნდა იქნეს გაგზავნილი ფოთში ჭიათურა-ფოთის რკინის გზაზე.

თავმჯდომარე. ფინანსთა მინისტრი.

ფინანსთა მინისტრი **გ. ჟურული**. ბატონებო, მე აქ მინდოდა სწორედ ერთი დამატება მომეხსენებინა, რომელიც ჩემმა ამხანაგმა, გზათა მინისტრმა სთქვა.

მთავრობამ დაადგინა, რომ ვინაიდან დიდძალი მარგანეცი უკვე არის გაზიდული ფოთში, ეხლა გადიდებული ტარიფი უნდა შეეხებოდეს, როგორც ჭიათურიდან გასაზიდ მარგანეცი, ისე იმ მარგანეცს რომელიც უკვე ჩატანილია ფოთში.

ეს მით უმეტეს არის საჭირო, რომ დაიდება, თუ არა დიდი ფასი ჭიათურიდან გასაზიდ მარგანეცს, ალბად ყველა ეცდება რომ ფოთში დაგროვილი მარგანეცი გაზიდოს, და ამ გვარად ჩვენ გზას შემოსავალი მოაკლდება და მერე დაზიანდებიან მარგანეცის პატრონები, რომელნიც ეხლა მუშაობენ, და აქეთ დამზადებული მარგანეცი ჭიათურაში. რადგანაც ეს უცბად შეჰქმნის პრივილეგიას, ამისთვის, ვისაც უკვე ფოთში დამზადებული აქვს მარგანეცი. ეს სრულიად უსაფუძვლო პრივილეგია, რომელიც არ არის გამოწვეული რაიმე ვაჭრობის, ან მრეწველობის კომბინაციით მათ ვისაც ფოთში აქვთ მარგანეცი დაგროვილი სულ უბრალოდ ჩაუვაჭრდებათ ხელში მოგება ამიტომ თავგრობამ იმსჯელა და გადასწყვიტა, რომ გადასახადი უნდა იყოს მიღებული, როგორც იმ მარგანეცზე, რომელიც ამიერიდან წავა ჭიათურიდან, ან სხვა სადგურიდან ფოთში, აგრეთვე იმ მარგანეცზე, რომელიც უკვე არის დამზადებული ფოთში.

თავმჯდომარე. გთხოვთ წერილობით შემოიტანოთ, რანაირად გნებავთ.

იას. ლორთქიფანიძე. ეს შესწორება, ბატონებო, რომელიც შემოიტანა ბ. მინისტრმა, შესწორება კი არ არის, ეს სულ ცალკე მუხლი **არს**. ეს სრულიად არ შეეხება იმ მეორე მუხლს, რომელზედაც ჩვენ ეხლა გვაქვს ლაპარაკი.

ამიტომ, მე მგონია, რომ პარლამენტი თანახმა არის, რომ მივიღოთ ეს მუხლი, როგორც არის.

თავმჯდომარე მაშ მე ეხლა მეორე მუხლს უყრი კენჭს ეს საკითხი დაისმის თუ ინებებთ, მაშინ, როდესაც გადავალთ მე სამე მუხლზე.

ალ. ასათიანი: შეიძლება მესამე მუხლის შესახებ?

თავმჯდომარე. ამ შესწორების შესახებ?—გადადებულ ტარიფი გავრცელდეს უკვე ფოთში ჩატანილ მარგანეცზე, ეს იქნება ცალკე მესამე მუხლი. მაშასადამე, უყრი კენჭს მეორე მუხლს. ეს მიღებული არის. ეხლა მესამე მუხლს; ჯერ დამატების მსგავსად არის შემოტანილი ფინანსთა მინისტრის მიერ. შესწორება გახლავთ: „გადიდებული ტარიფი გავრცელდება უკვე ფოთში ჩამოტანის მარგანეცზე. ”ქვენ გნებავს, სიტყვა? ბ. ასათიანმ?

ალ. ასათიანი. (ერ. დემ.) ფინანსთა უწყების სურვილი, რომ ყოველივე საშუალება გამოყენებული იქნას.—ფრიად საპატიო არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ახალი მუხლი მე სრულიად მიუღებლად მიმაჩნია. შეუძლებელია, რომ ჩვენ კიდევ დავადოთ ტარიფი იმ საქონელს, რომელიც უკვე გაზიდული არის ფოთში. (ხმა: გადატანილი) გადატანილი არის, იქ არის მიზიდული. ამასთან რკინის გზას არავითარი დამოკიდებულობა და კავშირი არ აქვს. როცა ის მარგანეცი მოტანილი იყო ფოთში, ეს იყო იმ კანონის ძალით, რომელიც მაშინ მოქმედდა. მე სრულიად მიუღებლად მიმაჩნია, რომ ეს კანონი, რომელიც ეხლა უნდა მივიღოთ, და რომელიც შეეხება რკინის გზით გადასაზიდ საქონელს, რომ ეს კანონი გავავრცელოთ იმ საქონელზე, რომელიც გადაზიდული არის, და მიტანილია უკვე ფოთში. ამის გამო, მე წინადადებას ვიძლევი, რომ ეს მუხლი, ახალი მუხლი, რომელიც ფინანსთა მინისტს შემოაქვს, სრულიად იყოს ამოშლილი ამ კანონ-პროექტიდან.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა ამის შესახებ? არავის. მომხსენებელი.

ილს. ლორთქიფანიძე, მომხსენებელი: ბატონებო ეს წინადადება, რომელიც აქ შემოიტანა ბ. მინისტრმა, რასაკვირველია რაიმე ფინანსიურ მოსაზრებას არ თხოულობს. ეს გახლავთ იურიდიული კითხვა, და თუ ეროვნული საბჭო მიიღებს ამას, საფინანსო კომისია, რასაკვირველია, დიდის კმაყოფილებით დასთანხმდება, რომ მეტი თანხა შემოვიდეს. მაგრამ, თუ რამდენად კანონიერი იქნება ეს იურიდიულად რასაკვირველია, ამის გადაწყვეტას საფინანსო კომისია არ კისრულობს.

თავმჯდომარე: მაშასადამ, ამ კანონ-პროექტს ემატება მესამე მუხლი „გადიდებული ტარიფი გავრცელებული იყოს ფოთში უკვე ჩატანილ შავ ქვაზე ანუ მარგანეცზე“, სიტყა ეკუთნის ბ. ნინიძეს.

კრების შეწყვეტა.

კირილე ნინიძე. (ს. დ.) რადგანაც ეს შესწორება გაუგებრობას იწვევს, მე მგონია, რომ შეიძლება 5 წუთით შევწყვეტოთ კრება.

თავმჯდომარე. ვინაიდან ეს იურიდიული საკითხია, და გამორკვევას თხოულობს, ისურვებთ თუ არა, რომ 5 წუთით შესწყდეს კრება? ვინ არის მომხრე, რომ კრება შევწყვიტოთ, ვინ არის წინააღმდეგ? მიღებულია შეწყვეტა 5 წუთით. (კრება სწყდება ნაშვადღეევის 3 საათსა და 35 წუთზე).

კრების განახლება.

(კრება ხელახლა იხსნება 4 საათ. და 5 წუთზე).

თავმჯდომარე. კრება გრძელდება, სიტყვა ეკუთნის ფინანსთა მინისტრს.

ფინანსთა მინისტრი გ. ჟურული. რადგანაც ფრაქციების მოლაპარაკების შემდეგ გამოირკვა, რომ შესაძლებელია ეს კითხვა სხვა ფრივ იყოს შემდეგში დაყენებული, ამიტომ, მთავრობა წინააღმდეგი არ არის, იმისა რომ ეს მესამე მუხლი დღეს მოახსნილი იყოს, და შემდეგ მთავრობა შემოგვიტანოს სათანადო წინადადებით.

თავმჯდომარე ამ განცხადების შემდეგ, მე საჭიროდ ვსთვლი მოვახსნა მესამე მუხლი, ამიტომ, რომ ეს თითონ ავტორის სურვილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის შემოტანილი წინადადება რომ ეს მეორე კანონ-პროექტი გადადებული იქმნას მომავალ სამშაბათს სხდომის თვის. ვინ არის მომხრე ამ გადადებისა? გთხოვთ ასწიოთ ხელი. მაშ ეს კანონ პროექტი გადადებული გახლავთ. კრებას ვხურავ.

უკაცრავად, გთხოვთ დაბრძანდეთ; ზოგიერთი გაუგებრობა ჩნდება. თქვენ ინებეთ მეორე კანონ-პროექტის განხილვის დროს, მეორე მუხლში შემოტანილი შესწორება, მიღებული იყოს მესამე მუხლად. შემდეგ მთავრობამ განაცხადა, რომ მის მიერ შემოტანილი მუხლი მოხსნილი იყოს, და ეხლა გთხოვთ, ეს მეორე მუხლი, რომელიც მიიღეთ, მიღებულად აღიაროთ. და საერთოდ, კანონ-პროექტი მიღებულია თუ არა? (ხმები: ქვორუმი არ გახლავთ). გთხოვთ დათვალოთ. ქორუმი გამოჩნდა. კენჭს უყრი მთელ კანონ-პროექტს. ვინ არის მომხრე, რომ კანონ-პროექტი მიღებული იყოს? გთხოვთ ასწიოთ ხელი. მიღებულია, და გადაეცემა სარედაქციო კომისიას. მხოლოთ მეორე კანონ-პროექტი, რომელიც დღევანდელ წეს რიგში არის, გადადება სამშაბათისთვის.

კრებას ვხურავ.

კრება იხურება ნაშუადღევის 4 საათსა და 10 წუთზე.